საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვეტი სიტყვაა, ტყეიღებით და ჯოტებით ბეტთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 12 მაისი. 2017 წ. №96 (8233), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

როცა სიმართლე ძვას ხეთძავს...

ვინც „ოცნებას“ ებრძვის, ის „ნაცების“ საქმეს აკეთებს!

③

ეკა ბესელია: მოქმედი კონსტიტუცია პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევის საპარლამენტო საფუძველს არ იძლევა

②

ენმ და მისი სატელიტები წინასაარჩევნო კამპანიას სიცრუესა და მერის საქმიანობის დისკრედიტაციაზე აგებენ

ვახტანგ დავითაია: რიყეზე „მილების“ მშენებლობა უნდა დასრულდეს!



⑤

არჩილ ხომასურიძე: უნდა აიკრძალოს თუ არა აბორტი...

თბილისში გარემოვაჭრეებთან ბრძოლა დასრულდა

④

როგორ ვცხოვრობთ?

დაზღვეული დაუზღვევლები



④

სახელი



⑧

ვარსკვლავი ღამეს დარბაზშიც ათევდა

გლდანის ცხის ყოფილი თანამშრომლები დააკავეს

⑩

„ჩემი მეგობარი მხატვრები“

⑥

საკუთარი ბავშვობიდან გამოპარული, სინდისივით შეურყვნელი სულით მხატვარი

იანოშ ჰერმანი: ჩვენ მტკიცედ ვუჭერთ მხარს შრომის ინსპექციას

შრომის ინსპექციის შექმნა არის ვალდებულება, რომელიც საქართველომ აიღო, — განაცხადა ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა საქართველოში იანოშ ჰერმანმა ჟურნალისტებთან საუბარში.

„ეს ვალდებულება გამომდინარეობს არა მარტო ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შეთანხმებიდან, არამედ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდებიდან. ჩვენ განვიხილეთ ეს საკითხი არაერთხელ პრაქტიკულად ყველასთან: მთავრობასთან, ბიზნესთან, სავაჭრო გაერთიანებებთან. ჩვენ ამას მხარს ვუჭერთ. მე მესმის, რომ გარკვეული პროგრესი ამ მიმართულებით სახეზეა და ისიც მესმის, რომ ერთ დღეში ეს ვერ განხორციელდება“, — განაცხადა იანოშ ჰერმანმა და იმედი გამოთქვა, რომ ეტაპობრივად, შრომის ინსპექცია სრულფასოვნად ამოქმედდება.

ეკა ბესელია: მოქმედი კონსტიტუცია პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევის სამართლებრივ საფუძველს არ იძლევა

— ეს განცხადება პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ გუშინ გამართულ ბრიფინგზე, პრეზიდენტის განცხადებების საპასუხოდ გააკეთა. მისი განმარტებით, როდესაც პრეზიდენტი საკონსტიტუციო ცვლილებებზე საუბრისას ცდილობს, ვითარება ისე წარმოაჩინოს, თითქოს მას წაერთვა რაიმე უფლებამოსილებები. მისივე თქმით, მოქმედი კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებამოსილებებიც კი არ იძლევა პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევის სამართლებრივ საფუძველს.

„ჩემი გამოხმაურების წინაპირობა გახდა ის განცხადებები, რომელიც გააკეთა საქართველოს პრეზიდენტმა, როგორც საკონსტიტუციო რეფორმის განხილვის დროს, ასევე ბოლო განცხადებებში. მოქმედი პრეზიდენტი, როდესაც საუბრობს საკონსტიტუციო ცვლილებებზე, ცდილობს, წარმოაჩინოს ვითარება ისე, თითქოს წაერთვა უფლებამოსილებები. პერსონალური განწყობის და დამოკიდებულების გამო, თითქოს ამიტომ იყო მიღებული საკონსტიტუციო კომისიაში გადაწყვეტილება პრეზიდენტის არაპირდაპირი წესით არჩევის თაობაზე და წარმოაჩენს ვითარებას ისე, რომ პირდაპირი არჩევნების არსებობის პირობებში, თითქოს მას გარანტირებული ჰქონდეს გამარჯვება. რეალური ვითარება არის ის, რომ კონსტიტუციის არსებული მოდელი, რომელსაც ჩვენ ვცვლით და ვალდებული ვართ, შევცვალოთ იმიტომ, რომ ეს კონსტიტუცია არ შეესაბამება ხელისუფლების დანაწილების პრინციპს და ეს კონსტიტუცია, ამ უფლებამოსილების ფარგლებშიც კი, რაც პრეზიდენტს გააჩნია, პირდაპირი წესით არჩევნების სამართლებრივ საფუძველს არ იძლევა“, — აღნიშნა ბესელიამ.

ვანო ზარდიაშვილი: ათი კანდიდატი რომ გვყავდეს, პირობას გაძლევთ, რომ მარგველაშვილი მე-10 ადგილზე გავა

განაცხადა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვანო ზარდიაშვილმა. მისი თქმით, პრეზიდენტი მარგველაშვილი ცდილობს ყოფილი პრეზიდენტის მიერ დატოვებული კონსტიტუციის სათავისოდ გამოყენებას.

„ჩვენ უკვე ვხედავთ, რომ პრეზიდენტი მარგველაშვილი ცდილობს და ებღაუჭება სააკაშვილის დატოვებულ კონსტიტუციას, იმ კონსტიტუციას, რომელიც რეალურად არ ამართლებს ამ ქვეყანაში და იმ კონსტიტუციას, რომელზე ყველა ერთხმად აღიარებს, რომ ცვლილებები სჭირდება“, — განაცხადა ვანო ზარდიაშვილმა.

გორში მოქალაქეები სერგო რატიანს დაუპირისპირდნენ

გორში მიმდინარე საკონსტიტუციო პროექტის განხილვაზე ხმაური იყო. **შეხვედრაზე „ევროპული საქართველოს“ წევრის, სერგო რატიანის გამოსვლას მოქალაქეების მხრიდან ხმამაღალი შეძახილები მოჰყვა, მას „ნაციონალურ მოძრაობაში“ ყოფნის წლები გაუხსენეს.**

სიტუაციის განეიტრალება სცადა პარლამენტის თავმჯდომარემ, მან შეკრებილებს სიმშვიდისაკენ მოუწოდა.

„მშვიდად მოვუსმინოთ ყველას. თითოეულ გამომსვლელს მოვუწოდებ, რომ პოლიტიკური გრძნობების პროვოცირება არ მოახდინოს, რომელიც ხალხს მძიმე შავ-ბნელ წარსულს გაახსენებს. ძალიან გთხოვთ თითოეულ თქვენგანს. აქ იყო საუბარი პოლიტიკურ საკითხებზე, ბატონო სერგო. ჩვენ კონსტიტუციაზე უნდა ვისაუბროთ. აქ საუბარი იყო ისეთ თემებზე, რომელიც აქ არ უნდა გეხსენებინათ. ჩვენ აქ არ დაგვიწყია ცხრა წელზე საუბარი. ჩვენ ვსაუბრობთ კონსტიტუციაზე, ეს არის ჩვენთვის პრინციპულად მნიშვნელოვანი. არც 9 წელს გახსენებთ, არც ქუჩაში ხალხის დახოცვას. ამას არ გახსენებთ, ჩვენ ვსაუბრობთ საქართველოს კონსტიტუციაზე“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ვინ აბუნტებს ფასანაურელებს?



„ეს არის გარკვეული დაჯგუფება, არასამთავრობო ორგანიზაციის სახელით „მწვანე ალტერნატივა“, ვინც აბუნტებს იქ გარკვეულ ადამიანებს“, — განაცხადა ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ ფასანაურში მშენებარე მაღალი ძაბვის ელექტრო გადამცემი ხაზების შესახებ. მისი თქმით, არ არსებობს რეალური საფრთხე და ეს პროტესტი მხოლოდ მოსახლეობის შეცდომაში შეყვანის შედეგია.

„ეს არის გარკვეული დაჯგუფება, არასამთავრობო ორგანიზაციის სახელით „მწვანე ალტერნატივა“, ვინც აბუნტებს იქ გარკვეულ ადამიანებს და შეჰყავთ შეცდომაში. იძლევიან არასწორ ინფორმაციას, თითქოს ეს ელექტროგადამცემი ხაზები არის დამაზიანებელი, თან მთავარი და მნიშვნელოვანი არის ის, რომ ხაზები დაშორებულია მოსახლეობიდან, დაახლოებით, 100-150 მეტრით, არის ერთი კონკრეტული მონაკვეთი, სადაც 40 მეტრია დაშორება, ანუ ყველანაირ სტანდარტში ჯდება. ასე რომ, ვერავინ ვერ შეაჩერებს ქვეყნისთვის მნიშვნელოვან და სტრატეგიულ პროექტს,“ — განაცხადა კახა კალაძემ.

მიხეილ ჩინჩალაძე და ოთარ სიჭინავა მოსამართლეებად უვადოდ დაინიშნენ

უზენაესი **სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ ჩინჩალაძე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლედ უვადოდ დაინიშნა. უვადოდ დაინიშნა ასევე მოსამართლე ოთარ სიჭინავა.**

შესაბამისი გადაწყვეტილება იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დღევანდელ კენჭისყრაზე მიიღო. ასევე, ამავე სასამართლოში უკვე დანიშნულია ორი მოსამართლე. კენჭისყრის შედეგად სააპელაციო სასამართლოში დაინიშნენ მერაბ ლომიძე და ილონა თოდუა.

რევაზ ნადოის ყველგან ხელი მოეცარა

პროკურორ **რევაზ ნადოის კანდიდატურა იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ყველა ვაკანტურ ადგილზე ჩააგდო. მის შესახებ კენჭისყრა გუშინ გაიმართა.**

ნადოის საბუთები შეტანილი ჰქონდა სააპელაციო, სისხლის და საგამოძიებო პალატებში. იგი იყო ისეთი გახმაურებული საქმეების პროკურორი, როგორიცაა ზურაბ ჟვანიას დაცვის წევრები, ბაჩო ახალიას საქმე სერგო თეთრაძისა და ციხის ბუნტის შესახებ. იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლეთა 39 ვაკანტურ ადგილზე 108 განაცხადს განიხილავდა.

ენმ და მისი სატელიტები წინასაარჩევნო კამპანიას სიცრუესა და მერიის საქმიანობის დისკრედიტაციაზე აგებენ

თბილისის მერია პოლიტიკური გაერთიანება „სამოქალაქო პლატფორმა ახალი საქართველოსთვის“ ლიდერის გიორგი ვაშაძის განცხადებას ეხმაურება და აცხადებს, რომ ენმ და მისი სატელიტები წინასაარჩევნო კამპანიას სიცრუესა და მერიის საქმიანობის დისკრედიტაციაზე აგებენ.

„ჩვენ კარგად გვესმის, რომ პოლიტიკური პარტიები, განსაკუთრებით კი „ნაციონალური მოძრაობა“ და პარტიის სატელიტი გაერთიანებები გადადიან წინასაარჩევნო რეჟიმზე და მათი წინასაარჩევნო კამპანიაც სიცრუესა და მერიის საქმიანობის დისკრედიტაციაზეა აგებული, თუმცა, გვსურს, კიდევ ერთხელ მოვუწოდოთ მათ, ნუ შეიყვანენ მოქალაქეებს შეცდომაში, განსაკუთრებით კი ისეთ სენსიტიურ თემებთან დაკავშირებით, როგორიც მაგალითად უფასო სასადილოებია.

ცნობისთვის, ამ შემთხვევაში, უფასო სასადილოებთან დაკავშირებით საუბრობენ ადამიანები, რომელთა მმართველობის პერიოდშიც სასადილოების ბენეფიციარებს საკვების მიღება უწევდათ ანტისანიტარულ და არაჰიგიენურ პირობებში და გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ეს ყველაფერი ხდებოდა უკონტროლოდ, ყოველგვარი წარმოების გარეშე, მაშინ როდესაც ამ ყველაფრის ნაცვლად თბილისის მერიამ სოციალურად დაუცველებს შესთავაზა საკვების მაღალი ხარისხი, ბენეფიციართა აღრიცხვიანობის მოწესრიგებული სისტემა და კეთილმოწყობილი სივრცეები. ამას მოწმობს არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ მიერ 2016 წელს გაკეთებული ანგარიშიც, სადაც ნათქვამია, რომ დედაქალაქის ამჟამინდელი მმართველობის პირობებში საგრძნობლად გაუმჯობესდა უფასო სასადილოებში სანიტარიული და ჰიგიენური მდგომარეობა, საკვების ხარისხი, მოწესრიგდა ბენეფიციართა აღრიცხვიანობა, ხორციელდება მუდმივი მოტინორინგი, კეთილმოწყო სასადილოების შენობები და შეიცვალა ინვენტარი. ამასთან, დასკვნაში აღნიშნულია, რომ სანიტარიულ—ჰიგიენური ვითარების გაუმჯობესების გამო, სასადილოების მომსახურების მიღებაზე მოთხოვნა გაიზარდა.

რაც შეეხება იმ ე.წ. „კორუფციულ გარიგებებს“, რომელშიც როგორც გაკეთებული განცხადებიდან ჩანს კარგად, თავადაც ვერ გაერკვია პოლიტიკური გაერთიანება „სამოქალაქო პლატფორმა ახალი საქართველოსთვის“ და მათი მთავარი მტკიცებულებები სოციალურ ქსელში დაწერილ სტატუსებს ეფუძნება, ვფიქრობთ, არასერიოზულია და მათი მმართველობის პერიოდისგან განსხვავებით, რეალური ეჭვების არსებობის შემთხვევაში შეუძლიათ, საგამოძიებო უწყებებს მიმართონ.

მოვუწოდებთ პოლიტიკურ გაერთიანებას — „სამოქალაქო პლატფორმა ახალი საქართველოსთვის“ ნუ შეეცდებიან, მერიის წარმატებულ საქმიანობას დაუპირისპირონ სიცრუე, დეზინფორმაცია და გადაუმოწმებელი, გაურკვეველი წარმომავლობის ეჭვებზე დაფუძნებული ტყუილები საზოგადოების შეცდომაში შეყვანისა და პოლიტიკური ქულების დაწერის მიზნით. ამ ყველაფერს, ყოველ ჯერზე, თბილისის მერია დაუპირისპირებს სიმართლეს და თვალსაჩინოებისთვის კიდევ ერთხელ შეახსენებს თბილისელებს „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში იმავე სფეროებში არსებულ უმძიმეს ვითარებას“, — ნათქვამია მერიის განცხადებაში.

ვინც „ოცნებას“ ებრძვის, ის „ნაცების“ საქმეს აკეთებს!

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პოლიტიკურ ოპოზიციაში „შესაკრებლები“ მცირედით გადაადგილდა, რასაც „ჯამი“ არ შეცვლია. ამის მიზეზი მარტივია: „ჯამის“ მთავარი განმსაზღვრელი, ქვეყნის გარედან მოქმედი ერთგვარი სტრატეგიული მართვის ცენტრი, ისევ აქტიურად არის ჩართული საქართველოს პოლიტიკურ პროცესში და მაქსიმალურად ცდილობს, სადავეები ხელიდან არ გაუშვას

პირველ აბზაცში გამოთქმული შეფასების მიზანი არ არის, რომ ვინმე კრიტიკულად განვაწყო ზემოხსენებული „ცენტრის“ მიმართ. პოლიტიკური მუშაობის ეს ფორმა დიდი სახელმწიფოების ჩვეულებრივი დღის წესრიგია, მით უმეტეს, თუ საქმე ეხება გეოსტრატეგიულად მნიშვნელოვან პატარა სახელმწიფოებთან ურთიერთობას.

დღევანდელ მოუწესრიგებელ მსოფლიოში მშვიდობის ერთადერთი გარანტი ამერიკის შეერთებული შტატებია. ამ მისიის შესასრულებლად მას ესაჭიროება საიმედო საყრდენები ამა თუ იმ რეგიონში და ერთი ასეთი საყრდენი საქართველოა. მსოფლიო პოლიტიკის მეორე მთავარი მოთამაშის, რუსეთის ინტერესების იგნორირება მათი მხრიდან, ამ ეტაპზე, რუსეთის ძლიერების ხარისხიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ვერ ხერხდება. ამ იძულებითი დათმობის შედეგია სოხუმსა და ცხინვალში შექმნილი ვითარება. ვიღაცისთვის „დათმობა“ – ჩვენთვის ტრაგედიაა. მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ამ საქმეში ყველაზე დიდი დამნაშავე „ნაციონალური“ ხელისუფლება იყო და არის!

მე ვიზიარებ მოსაზრებას, რომ სააკაშვილმა გეგმაზომიერად განახორციელა რუსეთის სპეცსამსახურების დავალებები, რაშიც მას „თანადგომას“ უცხადებდნენ გარკვეული ტრანსეკონომიკური ინტერესების წარმომადგენელი სუბიექტები დასავლეთიდან. პოლიტიკურ და ფინანსურ პრობლემებში გახვეულ პრეზიდენტ-ავანტიურისტს, როგორც გამოსავალი, შესთავაზეს შემდეგ პრინციპზე დაფუძნებული გეგმა – „ომი ყველაფერს ჩამოწერს“...

ქართული პოლიტიკა ბეწვის ხიდზე გადის. ეს არის მოცემულობა, რომელსაც ვერ გაექცევი. პირველ წერილში ვწერდი: „მოგვწონს ეს თუ არ მოგვწონს, თამაშის ეს წესი განსაზღვრავს ქართული პოლიტიკის სტრატეგიასა და ტაქტიკას. „ქართული ოცნების“ ამოცანაა, ამერიკელი პარტნიორები დაარწმუნოს ერთგულებაში და აღებული კურსის შეუქცევადობაში და თანდათან, დროთა განმავლობაში მიაღწიოს მათგან ამ ურთიერთობაში პრიორიტეტად საქართველოს სახელმწიფო ინტერესის აღიარებას“. (იხ. „საქ. რესპუბლიკა“ №82, 21 აპრილი).

სულ სხვა ამოცანა დაისახეს „ყველა დანარჩენმა“. ესაა პირადი ინტერესისა და პირადი ამბიციების დაკმაყოფილება... არგუმენტები? – რამდენიც გენებოთ: ვერავინ გაიხსენებს, „ოპოზიციის“ სუბიექტებს პრინციპებისთვის ებრძოლოთ, ყოველთვის კარგად ერგებოდნენ „მოქალაქეთა კავშირსაც“ და „ნაციონალურ მოძრაობასაც“. რაც შეეხებათ ე.წ. ენჯეოებს, ისინი ხომ ამ ორი მონსტრის „შვილობილი კომპანიები“ იყვნენ და არიან. ეს შეფასებები უამრავი ფაქტით არის გამაგრებული და თითოეული კარგად არის ცნობილი საზოგადოებისთვის.

„ოპოზიციის“ არგუმენტი – ამდენ პარტიას, ამდენ არასამთავრობოს და ამდენ ექსპერტს, ყველას ერთად, როგორ შეიძლება გვეშლებოდეს და ერთი „ოცნება“ იყოს მართალიო (ყველა მნიშვნელოვან საკითხზე ასე იყოფა „სპექტრი“) – ზოგადად, უცხო ყურისთვის, შეიძლება შთამბეჭდავადაც ჟღერდეს, მაგრამ საქმეში მეტ-ნაკლებად ჩახედულმა ადამიანმა (ასეთია საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა), ხომ კარგად იცის, რომ ეს „ყველა“ ერთი ავთვისებიანი წარმონაქმნის, „ნაციონალური მოძრაობის“ მეტასტაზებია.

ბინძურ (თუ იკადრებ) პოლიტიკაში დიდი ფული ტრიალებს და ერთხელ მაინც თუ წაგიცდა ხელი... რომ იტყვიან, „პირველია ძნელი, თორემ მერე სულ ლიწინ-ლიწინით მიდისო“.

დღევანდელიც ვთქვათ – ვინმე მაჭუტაძის, სამწუხაროდ, პოლიტიკაში შეცდომით შემოსული და პოლიტიკიდან არცთუ სასახელოდ წასული პაატა ბურჭულაძის (არადა, დიდი მომღერლის) დანატოვარის, ზურგს რომ ამოეფარები და პირსისხლიან „ნაცებთან“ ერთად კამპანიაში რომ ჩაერთვები „დემოკრატიის გადასარჩენად“, მეტი რაღა სირცხვილი და თავის მოჭრა უნდა დამართო საკუთარ უმწეო და უღირსებო არსებობას?

განახლებული კონსტიტუცია „ქართული ოცნების“ დიდი პოლიტიკური განაცხადია. მოწინააღმდეგეებში ავტომატურ რეჟიმში ამუშავდა წარმატებული პროცესისთვის ხელის შეშლის გეგმა. კონტრარგუმენტები, როგორც პირველ წერილში ითქვა, თითიდან არის გამოწოვილი და მთელი კამპანია სპეკულაციებზეა აგებული.

რეალობა ისეთია (სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს), რომ პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევას ყველაზე ემოციურად ის სუბიექტები აპროტესტებენ, ვისთვისაც მართლაც რომ დიდი თავისტკივილი იქნება ამ წესის უცვლელად დატოვება.

პირველი, ვისთვისაც პრეზიდენტის პირდაპირ არჩევნებში მონაწილეობა მძიმე პოლიტიკური შედეგის მომტანი იქნება, მოქმედი პრეზიდენტია. წინა წერილში ვწერდი – „გიორგი მარგველაშვილის შანსი ხელისუფლების ნებისმიერ კანდიდატთან ნულის ტოლია. ამიტომ, ცდილობს, „ქართული ოცნების“ შეთავაზება ძალაში არ შევიდეს, თანაც ისე, რომ ეს თვითონ შეთავაზების ავტორს, მმართველ ძალას დაბრალდეს“. ეს მცდელობა იმაში გამოიხატება, რომ ხელისუფლების კომპრომისს, 2018 წლის არჩევნების პირდაპირი წესით ჩატარების თაობაზე, თანხმობით არ პასუხობს.

მეორე, ვისაც ჭირის დღესავით უნდა ეშინოდეს პირდაპირი არჩევნების, „ნაცების“ ე.წ. ბოკერიას ფრთის წარმომადგენლები არიან, რადგან, ობიექტური რეალობიდან გამომდინარე, პირწმინდად, დიდი ანგარიშით დამარცხება ელით სააკაშვილის კანდიდატთან. პირდაპირი არჩევნების მესამე სავარაუდო მსხვერპლი ნინო ბურჯანაძეა, რომელიც 2013 წელს ნაჩვენები შედეგის ნახევარსაც ვერ შეწვდება და თანაც, მესამე პოზიციის დათმობაც მოუწევს.

ყოველივე ზემოთქმული იძლევა საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ მათი აგრესიული კამპანიის მიზანია, ხელისუფლებას როგორმე უკან წააღებინონ კომპრომისული შეთავაზება. ერთი მხრივ, ეს საშუალებას მისცემთ, თავი დაიხსნან 2018 წელს მათთვის მოვლენათა ნეგატიური განვითარებიდან, ხოლო მეორე მხრივ, ხანგრძლივი დროის განმავლობაში აწარმოონ ანტისახელისუფლო კამპანია ლოზუნგით – „ხალხს წაართვეს არჩევანი“.

„ოპოზიციის“ პროტესტის მეორე თემაა პროპორციული წესით ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში თავისუფალი მანდატების განაწილების წესი. მთავარი, რაც უნდა აღინიშნოს, არის ის, რომ „ქართული ოცნება“ მიდის უპრეცედენტო დათმობაზე, როცა უარს ამბობს მაჟორიტარობის ინსტიტუტზე. სწორედ ამგვარი ნაბიჯები გვიმტკიცებს რწმენას, რომ დღევანდელი ხელისუფლება თვისებრივად განსხვავდება ყველა წინამორბედისგან და აძლიერებს მისდამი ნდობას.

„ქართული ოცნების“ ამოცანა, დაიცვას ბალანსი პლურალიზმსა და სტაბილურობას შორის, აბსოლუტურად გასაგები პოზიციაა. ორპოლუსიან სისტემაში, 25-წლიანი ძარცვის შედეგად ეკონომიკურ სიდუხჭირეში მყოფი ქვეყნის პირობებში, ჩამოუყალიბებელი პარტიული სისტემის პირობებში დაუშვებელია მყარი უმრავლესობის საკითხის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება. იხატება მკაფიო სურათი – თუ „ოცნება“ დაკარგავს უმრავლესობას, ის აღმოჩნდება „ნაციონალური მოძრაობის“ ხელში. ცხადია, „ნაცები“ თავის სატელიტებთან ერთად ესწრაფვიან პროცესების ამგვარ განვითარებას, მაგრამ სრულიად გაუგებარია (საღი აზრის პოზიციებიდან), რას ემსახურება „პატრიოტთა ალიანსისა“ და ნინო ბურჯანაძის გააფთრებული წინააღმდეგობა.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში ეს ორი პარტია დამოუკიდებლად, სავარაუდოდ, ვერ გადალახავს ბარიერს. რომც გადალახონ, საკონსტიტუციო კომისიის მიერ შემოთავაზებული წესი მათ მხოლოდ თითო მანდატით თუ აზარალებთ. მაშ რა უნდა იყოს „ნაცებთან“ უნისონში ემოციების ფრქვევის მიზეზი? რადგან ანალიზს კარგ დასკვნებამდე ვერ მივყავართ, ამ კითხვაზე პასუხისგან ამ ეტაპზე თავს შევიკავებ. იმედი მაქვს, ისინი ბათუმში გამართული შეხვედრის ვიდეოჩანაწერს ობიექტური თვალითა და ყურით შეაფასებენ და შესაბამის დასკვნებს გამოიტანენ...

წინამდებარე წერილს ამ მრავალწერტილზე დავასრულებდი, მაგრამ გული არ მითმენს, არ ვთქვა, რომ – შეიძლება არც იურისტი იყო და არც პოლიტიკოსი, მაგრამ რაღაცის სწავლის უნარი თუ გაქვს, ოთხი წელი სრულიად საკმარისი დროა იმისთვის, რომ გაიგო, რა არის სტატუსი, რა არის კომპეტენცია, რას ნიშნავს სიმბოლური როლი, რას ნიშნავს ზეპარტიული, რას ნიშნავს, რომ ხელისუფლების წყაროა ხალხი და როგორ ხდება დემოკრატიის ამ ამოსავალი დებულების რეალიზება და რა განსხვავებაა საპრეზიდენტო, ნახევრადსაპრეზიდენტო და საპარლამენტო მმართველობებს შორის – ჩვენს პრეზიდენტს ვგულისხმობ. რასაც მისგან ვისმენთ პოლიტიკურ და სამართლებრივ საკითხებზე მსჯელობისას, არის სრული უპასუხისმგებლობა.

დარწმუნებული ვარ, საკონსტიტუციო განხილვების შემდგომი რაუნდები კიდევ ბევრ მასალას დააგროვებს იმის საილუსტრაციოდ, თუ რა უმწეოდ გამოიყურება უცოდინრობა ცოდნის ფონზე, დემაგოგია არგუმენტების ფონზე, პოლიტიკური სპეკულაციები სახელმწიფო ინტერესების ფონზე...

ქართულ პოლიტიკაში განვითარების ახალი ეტაპი მიმდინარეობს და კარგია, რომ ეს ყველაფერი კონსტიტუციით იწყება!

გიორგი ქოგულაძე

შეიძლება არც იურისტი იყო და არც პოლიტიკოსი, მაგრამ რაღაცის სწავლის უნარი თუ გაქვს, ოთხი წელი სრულიად საკმარისი დროა იმისთვის, რომ გაიგო, რა არის სტატუსი, რა არის კომპეტენცია, რას ნიშნავს სიმბოლური როლი, რას ნიშნავს ზეპარტიული, რას ნიშნავს, რომ ხელისუფლების წყაროა ხალხი და როგორ ხდება დემოკრატიის ამ ამოსავალი დებულების რეალიზება და რა განსხვავებაა საპრეზიდენტო, ნახევრადსაპრეზიდენტო და საპარლამენტო მმართველობებს შორის – ჩვენს პრეზიდენტს ვგულისხმობ. რასაც მისგან ვისმენთ პოლიტიკურ და სამართლებრივ საკითხებზე მსჯელობისას, არის სრული უპასუხისმგებლობა.

მიხეილ თათარიშვილს კვლავ პრეზიდენტის ქალიშვილი გამოექომაგა

თბილისის საქალაქო სასამართლოში პრეზიდენტის სიძის მეგობრის მიხეილ თათარიშვილის პროცესი გაიმართა. მხარეებმა შესავალი სიტყვები წარადგინეს. ბრალდების მტკიცებით, თათარიშვილს 18 აბი სუბოტექსი ამოუღეს, დაცვის მხარის განმარტებით კი თათარიშვილს ნარკოტიკები ჩაუდეს.

„მიხეილ თათარიშვილს 18 აბი სუბოტექსი ჩაუდეს, ის უდანაშაულოა“, – განაცხადა პრეზიდენტის შვილმა ანა მარგველაშვილმა. მისი თქმით, ვერაფრით ვერ დაამტკიცებენ მის ბრალდებას. **„ჩვენ გვაქვს მტკიცებულებები, რომ მისი უდანაშაულობა დავამტკიცოთ“,** – განაცხადა ანა მარგველაშვილმა. თათარიშვილი ნარკოდანაშაულის ბრალდებით, 15 მარტს დააკავეს.

მაია რჩეულიშვილს ახალი ადვოკატები დაიცავენ

„ცენტრ პოინტის“ დამფუძნებელ მაია რჩეულიშვილს ახალი ადვოკატები დაიცავენ. გუკა რჩეულიშვილის ინფორმაციით, ადვოკატების შეცვლის მიზეზი საპროცესო შეთანხმებაზე მუშაობაა, მისი თქმით, წინა ადვოკატები სამოქალაქო დავებზე იყვნენ სპეციალიზებულნი.

ახალი ადვოკატების მიერ საქმის მასალების გაცნობის მიზნით, „ცენტრ პოინტის“ საქმეზე გუშინდელი სხდომა, დაცვის მხარის შუამდგომლობით გადაიდო, რასაც პროკურორი პროცესის გაჭიანურების მცდელობად აფასებს. მისივე თქმით, საპროცესო შეთანხმება იმ შემთხვევაში გაფორდმება, თუ დაზარალებულებისთვის ზიანის სრულად ანაზღაურება მოხდება.

საქმის განხილვა 25 მაისს განახლდება.

◎ მწარე რეალობა

დაზღვეული დაუზღვევლები

გუშინ ვაკის პარკში სეირნობისას ნაცნობ პენსიონერს გადავეყარე. მზიანი ამინდი იდგა, ქარიც აღარ უბერავდა, სკამზე ჩამოვსხედით და გემრიელად ვიჭუკჭუკეთ.

— ბესო, — ვეუბნები, — თვალი არ გეცეს და შენი ასაკის პიროვნებაზე მშვენივრად გამოიყურები. გეტყობა, თავის მოვლა იცი.

— ჰო, ოჯახის ექიმმაც შეამჩნია, ვერაფრით ვიფიქრებდი, ოთხმოცს გადაცილებული თუ იქნებოდიო. მერე ისიც დაამატა, ჯანმრთელი გენური მემკვიდრეობა ძალიან ბევრს ნიშნავსო.

— ყოჩაღ შენა, — შევაქე, — ოჯახის ექიმი თუ გყავს, ძმაო, რატომაც არ იქნები მაგრად.

— ვითომ არ იცოდე, ოჯახისა კი არა და, — ხელები მოიფშვნიტა ბესომ, — ასე ეძახიან თორემ, ეგ რომ ნამდვილად ოჯახის ექიმი იყოს, ერთხელ ხომ მაინც უნდა იყოს ნამყოფი ჩემს ოჯახში. აბა ჰკითხე, სხვა თუ არაფერი, ის მაინც თუ იცის, რამდენი სულისგან შედგება ჩემი ოჯახი?

— აბა რატომ ეძახიან ოჯახის ექიმს?

— დაზღვეულთა გულის მოსაგებად და საამებლად, თორემ ჩვეულებრივი მკურნალი ექიმია, რომელთანაც დანიშნულ დღეებში რიგში ჩადგები, უფასოდ შეხვალ და იმკურნალებ.

— კაცო, უფასოდ გმკურნალობენ და კიდევ უმადური ხარ? — ვსაყვედურობ.

— ჰო მთავრობასაც ასე ჰგონია, რომ რახან საყოველთაო დაზღვევა შემოიღო, კლინიკებში პენსიონერებს უფასოდ გვმკურნალობენ, მაგრამ...

— რა მაგრამ? — ვაწყვეტინებ.

— ისა, რომ ადგილებზე სულ სხვა რეალობაა. სხვა კლინიკებში რა ხდება, ვერ გეტყვით, მაგრამ იქ, სადაც მე აღრიცხვაზე ვარ, მხოლოდ ოჯახის ექიმთან ვიზიტია უფასო, სხვა დანარჩენებთან კონსულტაცია ფასიანია.

— კი მაგრამ, შენ განა რამდენ ექიმთან გიწევს მკურნალობა?

— იმდენთან, რამდენიც დამჭირდება. ჩემ ასაკში კაცს ხან თვალი გიმტყუნებს, ხან ყური, ხან ფეხები და ხან გული. ყველა



ამ პროფილის (და არა მარტო ამის) ექიმთან საკონსულტაციოდ საფასური თუ წინასწარ არ გადაიხადე, ზედაც არავინ შემოგხედავს.

— რატომ კაცო, მაგ კლინიკებში ექიმები სახელმწიფოსგან ხელფასს ხომ იღებენ?

— ვერ გეტყვით, ალბათ, იღებენ, მაგრამ რატომღაც მეჩვენება, რომ ისინი უფრო მეტად ჩვენნაირი უმწეო პაციენტებისგან გადახდილი შემოსავლებით საზრდოობენ.

— თუ ასეა, ცუდად ყოფილა საქმე. ჩემო ბესო. კიდევ კარგი, რომ კლინიკებში ანალიზების კეთება მაინც უფასოა.

— მერე ვინ გითხრა, რომ უფასოა? კლინიკებში მხოლოდ სისხლისა და შარდის საერთო ანალიზებია უფასო, ყველა დანარჩენს ოქროს ფასი ადევს. პირადად ამ ორი დღის წინათ „ავერსის“ კლინიკაში ორი სახეობის სისხლის ანალიზის (ვიტამინი B12 და ფოლიუმის მჟავა) გაკეთებაში 90 ლარი წამგლიჯეს.

— „ავერსის“ კლინიკაში რა გინდოდა, ბესო, განა თქვენს კლინიკაში ისეთი რა გაუჭირდათ, რომ საანალიზოდ სხვაგან გაგამწესეს?

— გაუჭირდათ, სწორედაც რომ გაუჭირდათ. საქმე ის არის, რომ საქართველოში სოკოებივით მომრავლებულ ამ პაჭაპუჭა კლინიკებში სათანადო სამედიცინო ტექნიკა არ გაჩნიათ და პაციენტებს საანალიზოდ უახლესი ტექნიკით აღჭურვილი „ავერსის“ კლინიკაში ამისამართებენ. „ავერსი“ და სხვა ბობოლა სამკურნალწამლო კომპანიები, რომლებსაც საკუთარი კლინიკები და საწარმოები აქვთ გახსნილი, სარგებლობენ „ჯანსაღი კონკურენციის“ ამ უპირატესობით და გაჭირვებულ მოსახლეობას უღმერთოდ ატყავებენ.

— არადა, უანალიზოდ, დიაგნოზის დაუსმელად, როგორ გინდა კაცმა იმკურნალო?

— მეც, და კიდევ რამდენი ჩემისთანა, მაგას არ ვჩივით? ჯერ ანალიზების კეთება გაგფცქვნის კუდით რიკამდე და თუ დიაგნოზამდე მიაღწიე, შემდეგ კიდევ გაათმაგებული წამლების ფასი. თანაც თუ გულში ექოსკოპიის გაკეთების აუცილებლობა გამოგეჩხირა? ამას წინათ ერთ ჩემ მეგობარს მუცლის ღრუს ექოსკოპიაში 150 ლარი წასცინცლეს.

— ბესო, გაკვირვებული ვარ, ამ 180-ლარიანი პენსიით როგორ ახერხებ, რომ ანალიზების კეთებასაც აუდიხარ და წამლების ყიდვასაც?

— არაფერსაც არ ვახერხებ, უბრალოდ შვილი მეხმარება. მართალია, რაც აქვს, იმ შემოსავლებით ოჯახის რჩენა უჭირს, მაგრამ სასიკვდილოდ არ ვემეტები და ფინანსურად მეხმარება. რა დასამალია, ასეთ პირობებში პენსიონერს თუ არავინ მიეხმარა, ან მგელი (შიმშილი) წამოეწევა გასაფატრად და ან მგლისფერი ძაღლი (ცეცხლმოკიდებული წამლები).

— ბესო, გეთანხმები, საქართველოში წამლებს მართლაც ცეცხლი უკიდია, მაგრამ არის აფთიაქები, რომლებიც აქციების დღეებში მედიკამენტებს ფასდაკლებით იძლევიან.

— არ დაიჯერო, ეგენი ყველანი მამაძაღლობენ, მასობრივი მოხმარების წამლებზე ფასებს წარამარა 80-100 პროცენტით ზრდიან და შემდეგ ჩვენი თვალის ასახვევად და თავის მოსაწონებლად იმავე წამლებს 15-25 პროცენტის ფასდაკლებით გვაძლევენ. ფაქტობრივად, აფთიაქები ერთმანეთის კონკურენტები კი არა, მონოპოლისტები არიან, რომლებმაც ნახეს უპატრონო ქვეყანა და გადახდისუუნარო ხალხს ჯიბიდან უკანასკნელ გროშებს გვაცლიან.

— ამ ყველაფრის მიუხედავად, ფაქტი ფაქტად რჩება, ხელისუფლებამ დაუცველი ადამიანის სიცოცხლე იხსნა. ჯანდაცვის მინისტრი გვპირდება, რომ ახლო მომავალში დაზღვევის კანონში ცვლილებები შევა და პენსიონერებს, სოციალურად დაუცველებს ქრონიკული დაავადებების სამკურნალო წამლების შეძენა უფასოდაც შეეძლებათ. ამასთან, მთავრობა გვეუბნება, ამჯერად ბიუჯეტს მეტის გაღების თავი არა აქვს და საბნები სადამდეც გაგწვდებათ, იქამდე დაიფარეთო.

— ეგეც საკითხავია (აპილპილდა ბესო), მაგ ბიუჯეტს რაღა ჩვენისთანა გაჭირვებულების საბნებზე შემოაკლდა ფული და არა იმავე ბიუჯეტის პრემია-დანამატებით მყვლეფავ მთავრობის წევრებსა და დეპუტატებზე, რომლებსაც იმსიგრძე საბნები აფარიათ, ბოლო სად წაიღონ აღარც კი იციან. აღარაფერს ვამბობ პრეზიდენტ მარგველაშვილზე, რომელიც იმნაირ ზღაპრულ სასახლეში ცხოვრობს და იმნაირი ზღაპრული სექსითაა დაკავებული, რომ საბანს, ალბათ, საერთოდ არც იფარებს...

აი, ასე ტკბილად ვიჭუკჭუკეთ მე და ჩემმა ნაცნობმა პენსიონერმა იმ მწარე რეალობაზე, რომელშიც დღეს გვიხდება ცხოვრება პენსიონერებს (და არა მარტო პენსიონერებს).

მკითხველო, ალბათ შეამჩნიეთ, ნაცნობთან საუბრისას ვცდილობდი, მთავრობის მიმართ მის მიერ წაყენებული ბრალდებები და პრეტენზიები შემერბილებინა (მას ხომ ნაცების მხრიდან გაუთვლელ-დაუსრულებელი გინებაც თავსაყრელად აქვს) და როგორღაც გამექარწყლებინა კიდეც. რამდენად გამომივიდა ამის გაკეთება, ეს თავად განსაჯეთ.



ოთარ ხუციშვილი

თბილისში გარემოვაჭრეებთან ბრძოლა დასრულდა

თითქმის სამთვიანი შეტევის შემდეგ დედაქალაქში გარე ვაჭრობა პრაქტიკულად აიკრძალა. მომავალში გარემოვაჭრეებისთვის ჩამორთმეული საქონელი განადგურდება, გადაეცემა სოციალურად დაუცველებს ან აუქციონზე გაიყიდება. რამდენ ხანს მოხერხდება დედაქალაქის ხალხმრავალ ადგილებში ამჟამინდელი მდგომარეობის შენარჩუნება, ამას დრო გამოაჩენს.

გარემოვაჭრეებისგან თბილისის ქუჩების გათავისუფლების 19 მარტს დაწყებული ეტაპობრივი პროცესი 8 მაისს გამთენიისას დასრულდა, როდესაც ნავთლუღის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიიდან გარევაჭრობის უნებართვო კონსტრუქციები აიღეს. მერიის ინფორმაციით, ნავთლუღის გარდა, სავაჭრო დახლები აღებულია 10 ადგილიდან, მათ შორის, მეტრო „მარჯანიშვილის“, ვაგზლის მოედნის, ბარათაშვილის ქუჩისა და ორბელიანის მოედნის, მეტროების „დელისის“, „ვარკეთილის“, „ახმეტელის“ მიმდებარე ტერიტორიებზე.

სხვადასხვა ადგილებში ვაჭრობის უფლება დაახლოებით 1500 პირს აეკრძალა და ყველა მათგანისთვის შეთავაზება იდენტურია — მათთვის ბაზრობებზე სავაჭრო ადგილები გამოიყო, სადაც 6 თვის განმავლობაში იჯარის გადახდის გარეშე ვაჭრობას შეძლებენ.

გამოყოფილი სავაჭრო ადგილების საერთო რაოდენობა 4000-ს შეადგენს, რაც ბაზრობების ასოციაციის წარმომადგენელთა განცხადებით, საკმარისი უნდა იყოს გარემოვაჭრეთა ადგილებით დაკმაყოფილებისთვის.

გარევაჭრობის შესახებ კანონპროექტის ავტორი ლაშა ჩხარტიშვილი ამბობს, რომ გარემოვაჭრეების რაოდენობაზე მერიას კვლევა ჩატარებული არ აქვს და მათი რაოდენობა უფრო მეტია, 2000-დან 3000-მდე მაინც.

„ჯიბისის“ ინფორმაციით, გარემოვაჭრეების ნაწილი ბაზრობების ტერიტორიაზე შევიდა, თუმცა აცხადებენ, რომ მათი დღიური შემოსავალი მკვეთრად შემცირდა, შემოსავლის გარეშე არიან და ამიტომ აქციებს ხშირად მართავენ. გარდა ამისა, ქუჩებში მოსიარულე მოვაჭრეები მომრავლდნენ და ამ ფორმით ცდილობენ საკუთარი საქონლის გასაღებას.

პარალელურად, თბილისის საკრებულომ გარევაჭრობის აღკვეთისას საქონლის კონფისკაციის წესი დაამტკიცა. გარემოვაჭრეებისთვის ჩამორთმეული საქონელი განადგურდება, გადაეცემა სოციალურად დაუცველებს ან აუქციონზე გაიყიდება.

თბილისის საკრებულოს სხდომაზე საკითხის განხილვას დეპუტატებს შორის კამათი მოჰყვა. ნაცმოძრაობის წევრმა სევდია უგრეხელიძემ საკრებულოს სხდომაზე განაცხადა, რომ საჭიროა საკრებულომ ჯერ გარევაჭრობის რეგულირების წესი მიიღოს და მხოლოდ ამის შემდეგ დამტკიცდეს გარემოვაჭრეებისათვის ქონების კონფისკაციის წესი.

მერიის იურიდიული სამსახურის წარმომადგენლის ნელი ღვინეფაძის აზრით კი, საკითხის ამგვარად დარეგულირება სულაც არ უშლის ხელს სხვა საკითხის პარალელურ რეჟიმში გადაწყვეტას. დაახლოებით 10 დღეში თბილისის საკრებულოში შევა აგრეთვე გარევაჭრობის რეგულირების წესი, მანამდე კი კონფისკაციის წესის დამტკიცება ამ პროცესს არ აბრკოლებს.

დედაქალაქის მასშტაბით ხელშეუხებელი მხოლოდ მშრალი ხიდის მიმდებარე ტერიტორია დარჩა. თბილისის ერთ-ერთ სავიზიტო ადგილზე, მხატვრებს, სუვენირებით და ძველი ნივთებით მოვაჭრეებს გარევაჭრობა არ აეკრძალებათ.

გეძა დანელია

უნდა აიკრძალოს თუ არა აბორტი...



რედაქციის სტუმარია რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი არჩილ ხომასურიძე

პატივცემულ მკითხველებს მინდა ვამცნო, რომ ჩემი გადაწყვეტილების მიზეზი – მიმემართა განცხადებით ჩემთვის იდეოლოგიურად ყველაზე ახლო გაზეთისათვის, გახდა ქვეყნისათვის სრულიად აბსურდული ფაქტი. საქმე ეხება ხელოვნური აბორტების აკრძალვის საკითხს, რომელიც ჩემთვის სრულიად გაუგებარი მიზეზების გამო ისევ გახდა განხილვის საგანი. საერთოდ ასეთი რეტროგრადული საკითხის რეანიმაცია წარმოადგენს არამარტო სამარცხვინო, არამედ სასაცილო ფაქტს. უკანასკნელის მსგავსი მოვლენა მე არ მახსენდება არა მარტო ჩვენი მსგავსი, არამედ ისეთ ქვეყნებთან მიმართებაშიც, სადაც აბორტი დეიურე დღესაც აკრძალულია (ირლანდია, მალტა, პოლონეთი). ხსენებული ქვეყნებისთვის აბორტი აკრძალვის ფაქტი ატარებს მხოლოდ იდეოლოგიურ და რელიგიურ ხასიათს და არაფრით არ უშლის ხელს ქალებს, ჩაიტარონ ორსულობის შეწყვეტის ოპერაცია მეზობელ ქვეყნებში, მაგალითად, ინგლისში, იტალიაში ან ბელორუსში.

მაგრამ ეს არ გახლავთ მთავარი. მთავარი გახლავთ ყველა კომპეტენტური პიროვნებისათვის ის ცნობილი ფაქტი, რომ ისტორიულად ბევრჯერ ყოფილა აბორტის აკრძალვის მცდელობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში და არც ერთ შემთხვევაში მათ არავითარი დადებითი შედეგი არ მოუტანია. უარყოფითი შედეგები კი იყო ძალიან სერიოზული, კერძოდ, კრიმინალური აბორტების რიცხვისა და დედათა მოკვდაობის მკვეთრი ზრდა. ხსენებული ფაქტი არის ასახული რუმინეთსა და, თუნდაც, საბჭოთა კავშირის მაგალითებში. განსხვავებული მონაცემები უბრალოდ არ არსებობს ბუნებაში.

ალბათ, პატივცემული მკითხველებისათვის ცნობილია, რომ მე და ჩემმა კოლეგებმა მთელი შეგნებული ცხოვრება მივუძღვენით უშვილობის მკურნალობასა და აბორტთან ბრძოლას, რაც წარმოადგენს ი. ჟორდანიას ძირითად ნაანდერძევს. შედეგად მივიღეთ ის ფაქტი, რომ თუ 1987 წლის საქართველოში ოჯახის დაგეგმვას მიმართავდა ქალთა 0% და ყველა იკეთებდა აბორტს, დღეს კონტრაცეფციის თანამედროვე მეთოდებს ხმარობს საქართველოს ქალთა 65%, თბილისში კი 70%-ზე მეტი. ხსენებულ ვადაში ასეთი ნახტომი ზემოთ არ არის აღნიშნული მსოფლიოს ოჯახის დაგეგმვის ისტორიაში. საქართველოში ხელოვნური აბორტი დამარცხებულია და ვერასოდეს აიდგამს ფეხს, მაგრამ ამ ავადსახსენებელი ოპერაციის აბსოლუტური რაოდენობა მაინც მაღალია და საჭიროა მის წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელება...

მაგრამ არა აკრძალვის მეთოდით!

მავანი ამბობს, რომ ეკლესია კრძალავს აბორტს. როგორც ამ საზოგადოების წევრმა, მინდა, მოვახდინო მისი პარირება: ეკლესია არაფერს არ კრძალავს. მისი წმინდა ვალია ჩვენი ხალხის სულიერი აღზრდა. ქვეყანაში აკრძალვისა და ნების დართვის პრეროგატივა განეკუთვნება პარლამენტსა და მთავრობას და არა ეკლესიას. მინდა, აქვე დადებითად შევავფასო საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტისა და მისი თავმჯდომარის, ბ-ნ ა. ზოიძის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო არ აპირებს აბორტის აკრძალვის საკითხის განხილვას უახლოეს მომავალში.

არ დავუბრუნდები იმ ცნობილ საპოლემიკო თემას, მკვლელობაა აბორტი თუ არა. შესაძლოა, ასეც არის. ჩვენ ამ საკითხს დღეს არ განვიხილავთ. ჩვენი სამწუხარო განხილვის თემაა საკითხი: უნდა აიკრძალოს აბორტი თუ არა. არამარტო ჩვენ, ექიმებს, არამედ ნორმალურად მოაზროვნე ჩვენი საზოგადოების წევრს არ შეიძლება ჰქონდეს სხვა მოსაზრება, გარდა „არასი“. საკითხის რეანიმაციის მცდელებს კი მოვუწოდებდი, რომ ნუ კარგავენ დროს უაზროდ. მაინც არაფერი გამოუვათ, გარდა ერთი შთაბეჭდილებისა, რომ ისინი გახდნენ ვადამოჭმული აბორტმახერების დამქაშები და ცდილობენ მათი კრიმინალური შემოსავლის წყაროს რეანიმაციას.

რედაქციის შეკითხვა: ბატონო არჩილ, ხომ არ არის რაიმე „საიდუმლო“ ინფორმაცია თქვენს დღევანდელ მოღვაწეობაზე.

ა. ხომასურიძე: მე ძალიან ვამაყობ ჩემი ცხოვრების თითქმის 30-წლიანი მონაკვეთით, რომელიც მე გავატარე ძველ ი. ჟორდანიას ინსტიტუტში. ვამაყობ იმითაც, რაც შევქმენი კოლეგებთან ერთად, იმით რომ უშვილობის მკურნალობა ინ ვიტრო განაყოფიერების ჩათვლით, კონტრაცეფცია, ლაპაროსკოპია, ქალისა და მამაკაცის სქესობრივი ჰიგიენა, ბრძოლა კლიმაქტერულ სინდრომთან, სქესობრივ მოშლილობებთან და, საერთოდ, რეპროდუქტოლოგიის დაარსება ქვეყანაში ჩემს სახელთანაც არის დაკავშირებული. მოგეხსენებათ, მოხდა ისე, რომ ყველაფერი ამის „ჯილდოდ“ მე დამითხოვეს ი. ჟორდანიას ინსტიტუტიდან 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით. ჩემდა სავალალოდ ი. ჟორდანიას ინსტიტუტმა სულ მოკლე ხანში ფაქტობრივად შეწყვიტა არსებობა.

დღეს მე და ჩემი კოლეგების ვალია ქვეყნისა და ისტორიის წინაშე, რომ მას დავუბრუნოთ ის ღირსება და პატივისცემა, რომელსაც იმსახურებს პროფ. ი. ჟორდანიას ხსოვნა. დარწმუნებული ვარ, რომ ასეც იქნება.

◎ დედაქალაქი



რიყეზე „მილების“ მშენებლობა უნდა დასრულდეს!

ხუთი წელია, დრო და დრო აქტიურდება რიყის „მილების“ საკითხი. „ნაცების“ მიერ 2011 წელს დაწყებული მშენებლობა „ოცნებამ“ არ გააგრძელა. დგას ეს პირდაფჩენილი ორი უზარმაზარი ფორმა რიყეზე და ელოდება განაჩენს. არის ცნობა იმის შესახებაც, რომ მშენებლობაზე უკვე დაიხარჯა 75 მილიონი ლარი. მილების მომავალზე არსებობს ორი მოსაზრება:

ნაგებობა უნდა დამთავრდეს პროექტის მიხედვით!

საზოგადოების მეორე ნაწილი მის დემონტაჟს და სხვაგან გადატანას ითხოვს.

ამ საკითხზე კომენტარი ვთხოვეთ ცნობილ ხუროთმოძღვარს, რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატს, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსს ვახტანგ დავითაიას:

– ურემი უკვე გადაბრუნებულია... გზა, გამოსავალი ცუდსა და ძალიან ცუდს შორისაა. დემონტაჟი და სხვაგან გადატანა დამატებით 75 მილიონს ითხოვს. გარდა ამისა, დემონტაჟსა და მონტაჟს სჭირდება სპეციალიზებული ორგანიზაცია. ეს „მილები“, სადაც არ უნდა განვათავსოთ, მას ყველგან ექნება საექსპლუატაციო დისკომფორტი, რომელიც განაპირობა აკვიატებულ, ამბიციურ ფორმაში ფუნქციის „ჩატენვამ“. გადატანის უმთავრესი მოტივია ის, რომ „მილები“ გამომწვევად, თავხედურად, აგრესიულად არღვევენ გარემოს არქიტექტურულ-ურბანულ კონტექსტს, „ადგილის სულს“, მასშტაბს, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს პრობლემა დიდი ხანია, არ აწუხებს თბილისს, ურბანული კონტექსტი საერთოდ ამოიღეს დღის წესრიგიდან მოგებას დახარბებულმა ინვესტორებმა და მათ მიერ წახალისებულმა ჩვენმა სამთავრობო სტრუქტურებმა.



„მილებამდე“ რიყეზე არქიტექტურულ-ურბანული კონტექსტი დაარღვია „ბუდა ბარმა“, შემდეგ „შანგრილამ“ და ძლევამოსილად დააგვირგვინა „სათამაშო“ კუზიანმა მშვიდობის „ხიდმა“. ასე რომ, რიყე კარგა ხანია, არ ექვემდებარება ისეთ ისეთ ფაქიზ ცნებებს, როგორიცაა კონტექსტი, ადგილის სული და სხვა. იქნება ერთით მეტი „ამოვარდნილი“, „აგრესორი“ შენობა, თუ ერთით ნაკლები, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. **ჩემი პოზიცია ასეთია: „მილების“ მშენებლობა უნდა დამთავრდეს!**

გარემოს არქიტექტურულ-ურბანული კონტექსტის რღვევის არანაკლებ „შთამბეჭდავი“ მაგალითია ის, რაც მოხდა და დღესაც გრძელდება, პრეზიდენტის სასახლის მარცხენა მხარეს. ჯერ იყო და, სააკაშვილის ფავორიტმა არქიტექტორმა იურგენ მეირმა, რაღაც ჯოჯო, აბლაბუდა დადგა „სასახლის“ ცხვირწინ.

ამ ძველ უბანში არსებულმა 1-2-სართულიანმა განაშენიანებამ, რომელიც ერთ-ერთი კოლორიტული იყო თბილისის პანორამაში, „მცოცავად“ იწყო სიმაღლეში ზრდა, ხოლო კარკასი, რომელიც ამჟამად იქ აღმოცენდა, შემოსვის შემდეგ, საბოლოოდ დაასამარებს თბილისის ამ უნიკალურ პანორამა-პლაცდარმს. ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის გვიან. SOS! SOS! თუ ბოლომდე ობიექტური ვიქნებით, რიყის „მილები“ ნაკლები ბოროტებაა, ვინემ ის, რაც დავმართეთ „სპორტის სასახლეს“. ერთ დროს ამაყი, დომინანტი შენობა სათამაშო მაკეტად იქცა, საზოგადოებას აქვს უფლება, მოსთხოვოს თბილისის მერიას, გამოქვეყნდეს ყველა დოკუმენტი, ამ არეალის განაშენიანებაში მონაწილე სპეციალისტების შესახებ – ინვესტორების, ავტორების და პროექტების დამამტკიცებელი პირის სრული გვარ-სახელები, როგორ მოხდა ამ სიმჭიდროვის და უსახური არქიტექტურის დამტკიცება-დაკანონება.

ერთი შეგონება უნდა ვკადრო ხელისუფლებას. განსხვავებით კინოსცენარისგან და პიესისგან, სადაც ნაწარმოების ხარისხი მთლიანად ინტერპრეტატორზეა (რიჟისორი, მსახიობი და სხვა) დამოკიდებული, არქიტექტურული პროექტით თითქმის ასი პროცენტით შეიძლება განისაზღვროს შედეგი, ამისთვის საჭიროა, პროფესიას მართავდნენ პროფესიონალები, პროფესიული საბჭო და არა ფუნქციონერები, მათ შორის გაფუნქციონირებული არქიტექტორები. ჩვენს დედაქალაქში დღეს არსებული არქიტექტურულ-ურბანული ანარქია მთლიანად განპირობებულია პროფესიის სპეციფიკისა და მართვის პრინციპების უცოდინრობით, შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე ტვინების მიერ პროფესიის უზურპირებით. დღეს არქიტექტურას მართავს ბიზნესი, ბიზნესის მგლური კანონებით და არა არქიტექტურული ლოგიკა და ესთეტიკა.

ესაუბრა
ტატო ქოგულაძე

საკუთარი ბავშვობიდან გამოპარული, სინდისივით შეურყვნელი სულით მხატვარი

გამომცემლობა „მინიატიურის“ ოფისში, ვერაზე, კოსტავას ქუჩის პასაჟის დასაწყისში ხშირად მიწევს სტუმრობა — იქ ჩემი ძველი მეგობრები, მინიატიურული წიგნების საუკეთესო და უკვე მსოფლიოში აღიარებული შემქმნელები, ცოლ-ქმარი ქეთევან ლაზარიშვილი და ბადრი მელაძე მასპინძლობენ. კედლებზე უამრავი ნახატია, ცინცხალი ფერები, საოცარი პეიზაჟები, ნატურმორტები, ყოფითი სცენები... აქ შეხვდებით ცნობილ მხატვრებს — ჩვენი „პიკო“ ზურაბ ნიჟარაძე, აქვეა დათო ბაძაღუა, საგამოფენო სტენდები, აფიშები, ციცქნა წიგნები, საუკეთესო ღვინოების კოლექცია „მინიატიურის“ დამზადებული ეტიკეტებით, მუდამ მოღიმარი, დაკავებული, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, „გადარბენაზე“ მყოფი ქეთი და ბადრი — იქ შეხვედრები, გამოფენები, ხელშეკრულებები, სტამბა, კონსულტაციები. მუდამ საქმიანი გარემო და ამ ციცქნა ოფისს „შეკედლებული“ თვალებცქრიალა, მუდამ ჩაფიქრებული, სიტყვაძუნწი პატარა გოგონა. ეს ჩემი მეგობრების ერთადერთი ქალიშვილია, ციცქნა თეკლა. თეკლას შესახებ ყველაფერი ვიცი, ვიცი, რომ სკოლა-ლიცეუმ „ცოდნაში“ სწავლობს, ვიცი, რომ საკვირაო სკოლაში დადის ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში, ისიც ვიცი, რომ ოცნებობს, გახდეს დიპლომატი, ძალიან ძალიან ცნობილი დიპლომატი.

თეკლა მელაძე

ახლა მე კი არა, მთელმა საქართველომ და უცხოეთმაც იცის ის, რაც აქამდე არ ვიცოდი, უფრო სწორად, სამი წლის წინათ ვერ წარმოვიდგენდი — ეს მშვენიერი ტილოები, რომლებიც კედლებს ამშვენებენ და რომელთა რიცხვმაც რამდენიმე ათეულს გადააჭარბა, თეკლა-გოგოს შექმნილი ყოფილა. გივი ჯოლბორდი, ჩვენი შესანიშნავი ფოტოხელოვანი, რომელსაც „მინიატიურის“ ოფისში ავყევი, მეუბნება — **ჩვენს თვალწინ გაიზარდა და ვერც წარმოვიდგენდი, თუ ასეთ საოცრებას ვნახავდიო — დღითი დღე იზრდება როგორც მხატვარი. გინახავს, პირდაპირ ზეთის საღებავებით დაიწყოს ბავშვმა ხატვა, ყოველგვარი მონახაზების, ესკიზის გარეშე. ფანქრით არ ხატავს, არც უცდია, ტილოს გადაჭიმვა, დაგრუნტვა, საღებავების შეზავება არც იცოდა, ადგა და დაიწყო პირდაპირ, დაიწყო და...**

* * *

„პარიზში ვიყავი დედ-მამასთან ერთად, მონმარტრზე გავიარეთ, იქ ქართველი მხატვრების გამოფენაც იყო. დავინახე შავ პიჯაკში, ხელთათმანებითა და შავი ცილინდრით მაღალი, ხმელი კაცი გამოვიდა, პირდაპირ ქუჩაში გაშალა მოლბერტი და დაიწყო ხატვა. საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა. მერე გავიგე, ბატონი ჯემალ კუხალაშვილი ყოფილა. ახლა ვმეგობრობთ, მოსწონს ჩემი ნახატები, მაშინ არ ვხატავდი, ხატვა მერე, ცოტა მოგვიანებით დავიწყე. მე და ბატონი ჯემალი რამდენიმე ჯგუფურ გამოფენაშიც ვმონაწილეობდით ერთად“.



კუხალა მონმარტრზე

„თეკლას ხედვა ლამაზია, უბრალო და მართალი. როგორ შეიძლება, არ გიყვარდეს მისი სულის სარკმლიდან დანახული სამყარო, სინდისივით შეურყვნელი, ოცნებასავით ლაღი, ნიჭიერი და ამაღლებული. როცა მის ნახატებს ვუყურებ, ასე მგონია, თეკლა საკუთარ ბავშვობას ჩუმად, ფეხაკრეფით გამოეპარა და მარადისობის კარზე აკაკუნებს. მოდი და ნუ შემოუშვებ მას ამ სამყაროში...“ ჯ. კუხალაშვილი.

* * *

მართლაც, კარგი ბიჭი ხარ და ნუ შემოუშვებ. ახლა იმაზე ვიფიქროთ, არ გავუშვათ ამ ზღაპრული სამყაროდან, რასაც მხატვრობა ჰქვია, თორემ თეკლა უკვე ამ სამყაროშია. მონუსხული შევცქერი მის ტილოებს, რომლისთვისაც პატარა მხატვარს წელიწადის ოთხი დრო დაურქმევია. ერთი და იგივე მდელო გაზაფხულზე, ზაფხულში, შემოდგომასა და ზამთარში, ვივალდის წელიწადის დრონი, საოცარი ფერები, თითქოს დიდი კომპოზიტორის უკვდავი მელოდიებით გადმოღვენთილი. საოცრებაა...

„ოფისში ზურაბ ნიჟარაძის ტილო გვქონდა. მშობლებს მხატვრისთვის უნდა დაებრუნებინათ. ჩვენებს სახელოსნოში მეც წავყევი. პირველად ვნახე მხატვარი, როდესაც მუშაობს. საოცარი ფერებით ივსებოდა ტილო, სწრაფი მონახაზები და ულამაზესი ფერთაშეხამება. მაშინ გადავწყვიტე, მეც მეხატა. მანამდე ხომ არასოდეს არაფერი დამიხატავს. საოცრება იყო ისიც, რომ ბატონმა ზურამ თავისი ნახატი უკან გამოგვატანა, ამას თქვენ გჩუქნითო. ახლა აქ გვიკიდია, ოფისში, ხომ ნახეთ მებადური თევზებთან ერთად, ეს ის ნახატია“


ზურაბ ნიჟარაძის პორტრეტი

„თეკლა, მე დიდი ხანია, ვაკვირდები და ვეფერები შენს ხელებს, რომელიც ასეთ შედევრებს ქმნის. წინ მიიწევ და დიდი ნაბიჯები გაქვს გადადგმული პრიმიტივიზმიდან პროფესიონალამდე. შენ შეგიძლია, ნებისმიერ მხატვარს გაუწიო კონკურენცია შენი შრომისუნარიანობით, ოსტატობით და სიყვარულით ფერწერის მიმართ“. ზურაბ ნიჟარაძე.

შემდგომში თეკლამ დიდი მხატვრის პორტრეტიც შექმნა. ასე „კუხალამ“ მონმარტრზე და „პიკომ“ თბილისურ სახელოსნოში პატარა თეკლას თავისდაუნებურად „დაანათლეს“ მხატვრობა.

* * *

გაგონილი მაქვს, ერთხელ ავთო ვარაზისთვის უკითხავს მეგობარს, რომელი სჯობს მხატვარი თუ თვითნასწავლი მხატვარიო? ავთოსაც უპასუხია — დაუკვირდი, სად წლობით თორმეტი მასწავლებელი რომ გასწავლის და ხატვას გაძალებენ და სად უმასწავლებლოდ, შენით რო ხატავ და არავინ გაძალებსო.

თეკლასაც არ ჰყოლია მასწავლებელი, რასაც ქმნის თავისით, ღმერთისგან მოდის, სწავლის გაგრძელებასაც არ აპირებს აკადემიაში, დიპლომატობა სურს. ვეხუმრები და აინშტაინს ვიხსენებ — **შენ იქნები ყველაზე დიდი მხატვარი დიპლომატებს შორის და ყველაზე დიდი დიპლომატი მხატვართა შორის.** ეღიმება.

ახლა თავად ამაგრებს ტილოს ქვეჩარჩოზე, გრუნტავს და ხატავს.

ჭორიკნები

„დღე არ გავა, რომ არ დავხატო. ზოგ ნახატს ერთ დღეში ვასრულებ, ზოგს რამდენიმე დღე ვუნდები, ჯერ უნდა შეშრეს საღებავი, რომ სხვა ტონი დავატანო. სულ პირველად გვირილები დავხატე. პორტრეტიც ვცადე და ბატონი ზურაბი დავხატე. ყოფითი ტილოებიც მაქვს —„მრეცხავები“, „ზამთრისთვის მზადება“, ზამთარი სოფელში“, „სოფელი“, „მოსავლის აღება“, „სოფელი ტეზერი“, „პირველი მატარებელი“, ათობით ნატურმორტი და პეიზაჟი“.

ეს კი დიდი მხატვარი ჯიბსონ ხუნდაძეა, რომლის ამგვარი შეფასება მხოლოდ ერთეულთა ხვედრია. ბატონი ჯიბსონი ვერ იტანს ზერელე დამოკიდებულებას მხატვრობაში, მკაცრია თავისი თავისა და სხვების მიმართაც, მაგრამ...

„ჩემო თეკლა, შენ უკვე მხატვარი ხარ! მე ამას ასე იოლად არ ვამბობ. შენ ხარ ბუნებით ფერმწერი, შენში ზის კლასიკოსი და თანამედროვე მხატვარი. უდიდესი ენერგია და მუსიკალობა იგრძნობა შენი ნამუშევრებიდან, სადაც ბევრი ისეთი ნიუანსია, ნეტავ მე გამეკეთებინა — აი, მაგალითად, „ჭორიკნების“ ფონს, მე კი არა, რენუარიც მოაწერდა ხელს. თეკლა, დაბადებული ხარ მხატვრად, მე ამას პირველად ვამბობ ვინმეზე და ძალიან მიხარია“! ჯიბსონ ხუნდაძე.

* * *

თეკლა მელაძე სულ თოთხმეტი წლის იყო, ხატვა ერთი წლის დაწყებული ჰქონდა, როცა პირველი პერსონალური გამოფენაც მოეწყო „არტ ექსპო ნიუ იორკში“. შემდეგ ზ. წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, მომდევნო წელს ქუთაისში ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, „ცოდნის“ აკადემიაში და წელს, სულ რამდენიმე დღის წინათ თბილისში, ქარვასლაში, სადაც არნახული აღიარება ხვდა წილად. თოთხმეტ ჯგუფურ გამოფენაში აქვს მონაწილეობა მიღებული, აქედან ხუთი ამერიკის შეერთებულ შტატებში. მისი ოთხი ფერწერული ტილო კერძო კოლექციებშია ამერიკაში, ინგლისსა და საქართველოში.

მისი ჯილდოებიდან ერთს გამოვარჩევ **„არტ ექსპო ნიუ იორკის“ ყველაზე პატარა მონაწილე მისი არსებობის 37-წლიანი ისტორიის მანძილზე და „ვიპ“ სტუმარი. ნამუშევრები შესულია „არტ ექსპო ნიუ იორკის“ 2014 და 2015 წლების კატალოგებში.**

„ფერწერის მოყვარულებს ვურჩევ: დაიმახსოვრეთ ეს სახელი და გვარი. თვალი ადევნეთ მისი ფერწერის განვითარებას. ამ ნიჭიერ გოგონას დიდი მომავალი აქვს. ამის თქმის უფლებას მაძლევს, თეკლას ფერისა და კომპოზიციის არაჩვეულებრივი გრძნობა, გულწრფელობა. ყველაფერ ამას თან ერთვის თავდაუზოგავი შრომა, რომელიც მხატვრობისადმი ფანატიკური სიყვარულის გარეშე არ არსებობს“. რადიშ თორდია.

ჩვენ ვიმახსოვრებთ, ბატონო რადიშ. უკვე დაიმახსოვრა და გაითავისა ათასობით მხატვრობის მოყვარულმა, ყველამ, ვისაც სილამაზის აღქმის უნარი აქვს და, რაც მთავარია, შეაფასეს და თავიანთი ოჯახის წევრად გაიხადეს თანამედროვეობის ისეთმა ქართველმა გრანდებმა, როგორებიც ბრძანდებით თქვენ, ზურაბ ნიჟარაძე, ჯიბსონ ხუნდაძე, რეზო ადამია, ჯემალ კუხალაშვილი, მამუკა ცეცხლაძე, დავით ბაძაღუა და უამრავი უცხოელი თქვენი კოლეგა, რომლებიც მონუსხული ათვალიერებდნენ ამ შესანიშნავ ტილოებს თეკლა მელაძის ავტოგრაფი, რომ ამშვენებს.

რაც შეეხება პატარა მხატვარს, იგი სკოლიდან გამომცემლობა „მინიატიურის“ ოფისში მირბის, სადაც დროებითაა შეკედლებული, უქმეებზე — საკვირაო სკოლაში, შემდეგ წიგნებს ჩაჰკირკიტებს, რაც ესოდენ საჭიროა მომავალი დიპლომატისთვის და ისევ ათასგვარი ფერებით აჭრელებული პალიტრა, სუფთა ტილო და ულევი ფანტაზია.

მამუკა ვაშაკიძე

P. S. თუ როგორ მოიპარეს გამოფენიდან აუქციონისთვის გამზადებული თეკლას „ბროწეული“ და ინკოგნიტოდ კვლავ დაუბრუნდა მხატვარს, ამას ჩვენი გაზეთის მკითხველი სულ მალე შეიტყობს...

მ. ვ.

გივი ჯოლბორდის ფოტო
გამოფენაზე

ნიკოლაი სტარიკოვი

ცილდაწამებული გენერალისიმუსი

ვიხსენებთ ერთად



მარშალი ჟუკოვი იყო მამაკაცი მკაცრი ხასიათით. მისი მემუარების დაწერის პროცესზე აი, რას გვიამბობდა მისი ექიმი გ.კ. ალექსეევი:

„50-იან წლებში გიორგი კონსტანტინეს ძემ დაიწყო მასალების შეკრება თავისი ჩაფიქრებული მემუარებისათვის. ამ მიზნით ის ხშირად ჩადიოდა თავდაცვის სამინისტროს პოდოლსკის ცენტრალურ არქივში და გენერალურ შტაბში. მე მომიწია თვალყური მედევნებინა, მრავალი წლის განმავლობაში ვყოფილიყავი მისი ტიტანური შრომის უნებლიე მოწმე. მან კატეგორიულად თქვა უარი მისთვის შეთავაზებული ლიტერატურულ დახმარებაზე ყველაზე ცნობილი მწერლების კონსტანტინ სიმონოვისა და სერგეი სმირნოვის მხრიდან და განაცხადა. „წიგნი უნდა დავწერო მე თვითონ“. გაოცებდა მისი უმაღლესი პასუხისმგებლობა თავისი ნაშრომისათვის, მისი მხრიდან სიმართლისაგან რაიმე გადახვევაზე უარის თქმა. როდესაც წიგნზე მუშაობდა, ჟუკოვი არაერთხელ საუბრობდა იმაზე, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა ის მოვლენათა აღწერის სიმართლეს. ცხადი იყო, რომ ის გულწრფელად მოისწრაფოდა ამისკენ, რომ ცხოვრებაშიც, მეგობრებთან ურთიერთობებშიც ის ვერ იტანდა სიცრუეს უბრალო რამეშიც კი. შემიძლია დავასახელო ერთი მაგალითი. მთელი რიგი წლების განმავლობაში მას ურთიერთობა ჰქონდა ერთ მეცნიერ-მედიკოსთან. ერთხელ მისი ნაცნობი არ მივიდა დადგენილ შეხვედრაზე, ახსნა ეს მოულოდნელი შემთხვევით კლინიკაში. მისი ცოლი, რომელმაც, ეტყობა, არ იცოდა ქმრის განმარტება, ორი-სამი დღის შემდეგ მარშლის თანდასწრებით აღტაცებით საუბრობდა, თუ რა საინტერესო სპექტაკლი ნახეს მათ იმ დღეს თეატრში. ამ შემთხვევის შემდეგ მათი ურთიერთობა სამუდამოდ შეწყდა“.

მაინც, დიდი რამეა ინტერნეტი. მსოფლიო ობობას ქსელი — როგორც შხამი: შეუძლია დაგასახიჩროს და მოგკლას, ან გიმკურნალოს და დაგეხმაროს. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიზნით გამოიყენება და ვის ხელთაა. იმდენად, რამდენადაც მარშალ ჟუკოვის მემუარებში „ცვლილებების“ გასაღები თავმოყრილია მისი მემუარების რედაქტორის ა.დ. მირკინას ფიგურაში, გადავწყვიტე, მომეძებნა იგი მსოფლიო ობობას ქსელში. ძიების აზრი ასეთია: გავიგო, თუ სინამდვილეში რას ითხოვდნენ ჟუკოვისგან უახლოესი ეპოქის ცენზორები 1969 წელს. ნუთუ უკრძალავდნენ, გაეშავებინა და ელანძღა სტალინი და აიძულებდნენ, ექო იოსებ ბესარიონის ძე და არა ლეონიდ ბრეჟნევი? ნუთუ სტალინის კრიტიკის 100 გვერდი ამოჭრეს მარშლის მემუარებიდან და არაფრით დაუმატებიათ ბრეჟნევის შესახებ?



ანა მირკინა

ახლა სიტყვა მივცეთ თავად ანა დავითის ასულ მირკინას. ინტერნეტში შევძელი, მომენახა მისი ერთ-ერთი გამოსვლა, რომელშიც მან ძალიან ბევრ საინტერესო რამეზე ისაუბრა:

... ცხრა წელი მომიწია უშუალოდ მასთან მუშაობა მის სახლში. ძალიან დავმეგობრდით მისი ცოლი და მე, და, ბუნებრივია, მე ჟუკოვების ოჯახის წევრი გავხდი. მომიწია, ვყოფილიყავი ცამეტი გამოცემის რედაქტორი, რომლებიც სსრ კავშირში გამოვიდა. მე თვრამეტჯერ ვიყავი ამ წიგნის რედაქტორი. ამას გარდა, წიგნი გამოვიდა, როგორც მოგეხსენებათ, ოცდაათ ქვეყანაში თვრამეტ ენაზე. ეს წიგნი მსოფლიო მასშტაბის ბესტსელერად იქცა, რომელიც, შეიძლება, უფრო პატიოსნად, სიმართლით გვიამბობს მეორე მსოფლიო ომზე. ჟუკოვი შესანიშნავი ადამიანი იყო. და ბედნიერი ვარ, რომ ბედმა შემახვედრა არაჩვეულებრივ არა მხოლოდ სარდალთან, არამედ მაღალ ინტელექტუალთანაც... გიორგი ჟუკოვმა თავისი წიგნი დაწერა თავად. მე მასთან ჩავედი 1965 წელს, დავდეთ ხელშეკრულება. 1966 წელს ზუსტად დღე-დღეზე ჩამაბარა ტექსტის 1400 გვერდი. ამის შემდეგ კი სამი წელი მიმდინარეობდა მუშაობა ზემდგომ ორგანიზაციებში“.

მნიშვნელოვანია: ჟუკოვი გარკვეულწილად წერდა თვითონ, შემდეგ წიგნი რედაქტორ მირკინას მეშვეობით გაგზავნა „გამოსაკვლევად“ ბრეჟნევის სახელგანთქმულ ცენზორებთან. მოდით, ვკითხოთ ჩვენ თავს: რისი მიღწევა შეეძლოთ ამ ცენზორებს? რა ამოჭრეს და რის ჩამატებას ცდილობდნენ, ნუთუ 1966 წლის ნიმუშის ბრეჟნეველი ცენზორები ცდილობდნენ სტალინის „გათეთრებას“?

ძირითადი დარტყმა მიმართული იყო იმ თეზისის დამტკიცებაზე, თითქოს ომისათვის აბსოლუტურად ვიყავით მზად. ჟუკოვმა პატიოსნად დაწერა, თუ რა გვქონდა. მათ უნდოდათ, რომ წიგნში ყოფილიყო აბსოლუტური მზადყოფნის შესახებ, და მხოლოდ გერმანელთა უპირატესობამ შეიარაღებაში გააჭიანურა ჩვენი გამარჯვება. რაც იყო არასწორი, ამიტომ მეცხრე თავმა განიცადა საშინელი ეკზეკუცია, იგი ქვეყნდებოდა შეკვეცილი სახით. და მეორე საკითხი. ესაა საკითხი სტალინსა და რეპრესიებზე. ხოლო რაც შეეხება სტალინს, აქ მათ სრული ურთიერთობები ჰქონდათ. მას ესმოდა სტალინის დადებითი მხარეებიც და უარყოფითიც. ამის შესახებ მან დაწერა, და ნაწილობრივ ეს როგორღაც შევიდა. ხოლო რაც შეეხება თავს რეპრესიების შესახებ, იგი საერთოდ არ გამოცემულა. და მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ ჟუკოვის უმცროსმა ქალიშვილმა მაშამ შემთხვევით ნახა წიგნის პირველი ეგზემპლარი, თავდაპირველი, ცენზურის მიერ ხელუხლებელი. ჩვენ ყველაფერი აღვადგინეთ, დაწყებული მე-10 გამოცემიდან (მე-11, მე-12, მე-13). ამ გამოცემაში აღდგენილია მთელი სიმართლე ისე, როგორც ეს იყო დაწერილი ჟუკოვის მიერ“.

საბჭოთა ხელმძღვანელობის სურვილი, პოლიტიკურად სწორად გაეშუქებინა ჟუკოვის 1941 წლის 22 ივნისის ტრაგედია, სავსებით გასაგებია — დღემდე მთელი სიმართლე არ არის ნათქვამი და მიზეზებიც არაა გასაჯაროებული. რატომ — ესაა საკითხი, რომელიც მთელ წიგნს მოითხოვს. და არა იმიტომ, რომ სსრ კავშირი ემზადებოდა თავდასხმისთვის. ასეთი გეგმები სტალინს არ ჰქონია...

მაგრამ, მოდით, საკითხისგან ნუ გადავუხვევთ. კიდევ რა აღელვებთ ბრეჟნევის ცენზორებს? რეპრესიების საკითხი. და მთელი თავი, თუ მირკინას დავუჯერებთ, არ შედის წიგნში. და ეს გასაგებია — იმ დროს სსრ კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ უცნაური ხაზი აირჩია: სტალინსაც და ტუხაჩევსკისაც შეეძლოთ, ერთნაირად ყოფილიყვნენ წიგნის ფურცლებზე. მაგრამ პროსპექტებსა და ქუჩებს უწოდებდნენ მხოლოდ „მსხვერპლთა“ სახელებს, სტალინის სახელის დარქმევა კი არ შეიძლებოდა. ტუხაჩევსკის პროსპექტები მაშინ სსრ კავშირში ჩნდებოდა, სტალინის პროსპექტები კი არ ყოფილა დღემდე. საკითხი კი სსრ კავშირში რეალური პოლიტიკური ბრძოლის შესახებ, რომელიც იყო 1930-იან წლებში, მთლიანად უგულებელყოფილია. მაშასადამე, ამის შესახებ არც ჟუკოვს შეეძლო, დაეწერა. მიაქციეთ ყურადღება: საერთოდ არ შეიძლებოდა წერა რეპრესიების შესახებ, არ შეიძლებოდა დაწვრილებით წერა ამ ტრაგედიის შესახებ, და საერთოდ არ არის ცუდი, წერო სტალინზე! ეს, დაგვეთანხმეთ, ერთი და იგივე არაა.

კიდევ რა სურდათ ცენზორებს? როგორც მოსალოდნელი იყო, უნდოდათ იმ წლების ტრადიციით ჩაეწერათ წიგნში ბრეჟნევი. „მხოლოდ ერთხელ მოუწია მას, წასულიყო გარიგებაზე საკუთარ სინდისთან, როდესაც ცხადი გახდა, რომ თუ წიგნში არ იქნებოდა ნახსენები ლ.ი. ბრეჟნევის სახელი, ერთ-ერთი არმიის პოლიტსამმართველოს უფროსისა, მისი წიგნის გამოცემის შესაძლებლობა ეჭვის ქვეშ დგება“, — წერს გ.კ. ალექსეევი, სამედიცინო სამსახურის გენერალ-მაიორი, რომელიც მკურნალობდა მარშალს და მეგობრობდა მასთან.

თავად მირკინაც სწორედ ამაზე საუბრობს:

„არა, ვერ აიძულეს, დაეწერათ მასზე (ბრეჟნევზე — ნ. ს.), არამედ გამოგზავნეს ქაღალდი, რომელშიც ყველაფერი ეწერა: „... მე წავედი მე-18 არმიაში იმის წინ, თუ როგორც დაამთავრებენ ოპერაციას კავკასიაში, უნდა მოვთათბირებოდი პოლკოვნიკ ბრეჟნევს“. და ეს სისულელე შევიდა პირველ რვა გამოცემაში მთელ მსოფლიოში. ვერაფერს იზამდი. ღამის სამ საათზე მივდიოდი ჟუკოვთან სახლში ის რუბლიოვის გზატკეცილზე ცხოვრობდა, ვინაიდან თავად ამხანაგ ბრეჟნევს უნდა ენახა, შევიდა თუ არა ეს ხელნაწერი წიგნში. ის ოჯდა მოწყენილი, ცუდ ხასიათზე იყო, ის ხომ ძალიან ავად იყო (გადაიტანა ინფარქტი, ინსულტი, ცუდად დადიოდა). ის დიდხანს იჯდა, შემდეგ აიღო კალამი და მითხრა: „კეთილი... წავიდეს“ და მოაწერა ხელი“.

ახლა კი დავიწყებთ ორი ჟუკოვის კითხვას. იმას, ვინც ამაყად ტოვებდა თავის ავტოგრაფს თავის წიგნზე, ამოჭრა თავი რეპრესიების შესახებ და ჩართო წიგნში მცირედი ხსენება ბრეჟნევზე. და იმას, ვისი ხელნაწერიც თავდაპირველი ვარიანტით, რომელიც თითქოს აღმოჩნდა გარადაქმნის პერიოდში მარშლის არქივში. ასე დროულად და ასე აუცილებლად. უმალვე მინდა ვთქვა, რომ სრული ანალიზი ცვლილებებისა ჟუკოვის წიგნში ჩვენს გეგმებში არ შედის. ჩვენ შევადარებთ ერთმანეთს ორ ტექსტს, რომლებიც შეეხება ჩვენთვის საინტერესო თემას — ავტორის დამოკიდებულებას სტალინთან. თქვენ კი, პატივცემულო მკითხველო, გთხოვთ, გახსოვდეთ, როდის კითხულობთ „ორ ჟუკოვს“, რაც ბრეჟნევის ცენზორებს აღელვებდა;

- 1941 წლის 22 ივნისის მიზეზების პოლიტიკურად სწორი გაშუქება;
- ზედმეტად დაწვრილებითი საუბრები რეპრესიების შესახებ;
- ძვირფასი ლეონიდ ბრეჟნევის როლი დიდ სამამულო ომში.

მეტი არაფერი. მეტი ცენზორებს არაფერი აინტერესებდათ.

„ჟუკოვის მემუარების წიგნს“ ასე ვუწოდებთ: წიგნის ამოსავალი ვარიანტი, წიგნის გარდაქმნისეული ვარიანტი. წიგნის „გარდაქმნისეულ“ დამატებებს, მათი აღმოჩენის მოხერხებულობისათვის, გამოვყოფთ კურსივით. ვიტყვი ახლავე — ჟუკოვის ფალსიფიცირებულ ყველა ნაწილს ჩვენ თქვენთან ერთად ვერ განვიხილავთ. განვიხილავთ მხოლოდ ყველაზე ძირითადს. ძალიან ბევრია და ხშირად ჩანერგავდნენ ხოლმე სიცრუეს მარშლის მემუარებში მისი გარდაცვალების შემდეგ ისინი, ვისაც სტალინი დღემდე ყელში აქვთ გაჩხერილი...

* * *

თავი 5.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის კავალერიის ინსპექციაში.

ცხენოსანთა პირველი არმიის კავალერიის მე-4 დივიზია.

აქ, მემუარების გარდაქმნისეულ ვარიანტში, ჩნდება პატარა თავდასხმა ქვეყნის ხელმძღვანელობის მისამართით:

დიდი სამამულო ომის პირველივე დღეებში, როდესაც ვიხსენებდით მ.ნ. ტუხაჩევსკის, ყოველთვის პატივს ვცემდით მის გონებრივ გამჭრიახობას და იმათ შეზღუდულობას, ვინც ვერაფერს ხედავდა თავისი ცხვირის იქით, რის შედეგადაც ჩვენმა ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო დროულად შეექმნა ძლიერი ჯავშანსატანკო ჯარები და, მათ ქმნიდნენ უკვე ომის პროცესში.

1970 წლის რედაქციაში ასეთი ტექსტი არაა. მინდა აღვნიშნო, რომ ნაცისტების თავდასხმის წინ წითელი არმიის შემადგენლობაში იყო დაახლოებით 20 ათასი ტანკი, მათ შორის T-34 დაKB. რომელთა ანალოგებიც გერმანელებს უბრალოდ, არ ჰქონდათ. რაღაც სიახლის შექმნა ტანკმშენებლობაში გერმანელებმა შეძლეს 1942 წლის ბოლოსათვის, ახალი „ტიგრებისა“ და „პანტერების“ გამოყენება კი მხოლოდ 1943 წლის ზაფხულში — კურსკის რკალზე. ომის დასაწყისისათვის კი ხარისხითაც და რაოდენობითაც საბჭოთა სატანკო ჯარები სჭარბობდნენ მტრისას და ტანკების ისეთი ოდენობა, როგორიც იყო 1941 წელს, არ ყოფილა ჩვენს არმიაში კიდევ დიდხანს და დიდხანს. ჩვენ წავაგეთ უნარში, გვემართა სატანკო ჯარები. რაც შეეხება ტუხაჩევსკის „გენიას“, სწორედ ის გვთავაზობდა, შეგვექმნა ეს უბრალოდ ძალიან, ძალიან დიდი ხნის განმავლობაში. ჩვენ ვაგებდით უნარში — გვემართა სატანკო ჯარები. რაც შეეხება ტუხაჩევსკის „გენიოსობას“, სწორედ ის გვთავაზობდა უბრალოდ — ბევრი, ბევრი ტანკიო. ასობით ათასი და როგორც ომის პირველმა წლებმა გვიჩვენა, საქმე ეხებოდა არა საბრძოლო მანქანების ოდენობას, არამედ იმათ ხარისხს, ვინც მათ მართავს.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №69-82; 86-95

თარგმნა
ზურაბ ლომიძემ

(გაგრძელება იქნება)

◎ ეს არ უნდა განმეორდეს!

მარადიული შავი ლაქა

2007 წელი სააკაშვილის სისხლიანმა რეჟიმმა რამდენიმე ისეთი ამაზრზენი ფაქტით დაგვამახსოვრა, თავისუფლად რომ „დაამშვენებდა“ და შეემატებოდა სულმნათი ლევან სანიკიძის „309 ქართული სირცხვილს“.

გამომცემლობა „სამშობლოდან“ ათეულობით რედაქციის ვანდალურად გამოყრა და ტელეკომპანია „იმედის“ დარბევა სამართლიანად შეფასდა თავისუფალი სიტყვის ერთგულ ჟურნალისტთათვის პირში ლაგამის ამოდებისა და მათი დაშინების უშედეგო მცდელობად, თუმცა, არც ისაა ვინმესთვის სადავო (ნაცთა თითებზე ჩამოსათვლელ ტვინნაღრძობ თანამოაზრეთა გარდა), რომ რეპრესიული მანქანა არც სხვებს, თუნდაც ვარდ-ყვავილოვანთა წიაღში შობილ ძალებს ინდობდა, ვინც რატომღაც ბობოლათა სიმპათიით არ სარგებლობდა.

ხვალ 10 წელი სრულდება დედაქალაქის „ქორთიარდ მარიოტში“ გამართული საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის იმ ყრილობიდან, მარადიულ შავ ლაქად რომ დააჩნდება XXI საუკუნის დამოუკიდებელ სახელმწიფოს.

დაგვეთანხმებით, მართლაც მოხერხება უნდოდა, ქართველი ერისათვის სათაყვანო თარიღი — 13 მაისი რომ ბევრისთვის შეგეზიზღებინა.

მაშინდელი სტატიის გადმობეჭდვა ანალოგიური უმსგავსობის პრევენციას ისახავს მიზნად.

◎ ორმოცი

გადაუხდის თუ არა ვინმე პანაშვიდს?

დღეს ქართული ფეხბურთის, ზოგადად, და გიორგი ნემსაძის, კონკრეტულად, მორალური დასამარებიდან მეორმოცე დღეა. ნამდვილად არ ვიცით, აპირებს თუ არა ვინმე პანაშვიდის გადახდას, როგორც ამას ქრისტიანული ტრადიცია მოითხოვს, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ვითომც არაფერი მომხდარიყოს, ისე განაგრძობენ „ბაირამობას“ 13 მაისს განვითარებული სამარცხვინო მოვლენების შემოქმედნი.

ეს, უპირველესად, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და ეროვნული ნაკრების თავკაცებს ეხებათ, იმ გუნდისა, რომელმაც საბედისწერო დღიდან გასულ მცირე პერიოდში კიდევ ორი შესარჩევი მატჩის წაგება მოასწრო, თუმცა, ახალკაცი და ტოპმიოლერი მაინც ჯიუტად გაიძახიან, სწორი გზით მივდივართო.

უბედურება ისიც გახლავთ, საზოგადოებამ დღესაც რომ არ იცის, სინამდვილეში როგორ გაითელა ფეხქვეშ ქართული სპორტული სამყაროს ავტორიტეტი და ღირსება. ვინაიდან ნაირნაირი ხმები გავრცელდა, ორმოცზე საჭიროდ ჩავთვალეთ შედარებით სარწმუნო ვარიანტი შემოგთავაზოთ.



მოგეხსენებათ, წინა დღით თბილისში ჰეიდარ ალიევის ძეგლი გაიხსნა. ბუნებრივია, ამას საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტთა მონაწილეობით გამართული ბანკეტი მოჰყვა. სწორედ „პახმელიაზე“ მყოფ მიხეილ სააკაშვილთან შეიკრიბნენ „ქორთიარდ მარიოტში“ თავისი პროტეჟეს დამარცხების შემდეგ ნაციონალთა იდეოლოგიური ფრთის წევრები ბოკერია, ლომაია, უგულავა, გაბაშვილი და, არც მეტი, არც ნაკლები, ფეხბურთის ფედერაციის სათავეში ახალკაცის დაბრუნება მოითხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში თანამდებობებიდან გადადგომით დაიმუქრნენ. ულტიმატუმის ასეთმა ფორმამ, როგორც მოსალოდნელი იყო, გაჭრა, დანარჩენი კი, რომ იტყვიან, ტექნიკის საქმე იყო. თურმე, არც მმართველი პარტიის ახალგაზრდული ფრთის ლიდერის კირკიტაძისა და იმ რეგიონების გუბერნატორთა დაპატიმრება ყოფილა გამორიცხული, რომელთა კლუბების წარმომადგენლებმაც ფედერაციის ხელმძღვანელის არჩევნებში ხმა ეროვნული ნაკრების ყოფილ კაპიტანს მისცეს. აღარაფერს ვამბობთ „ნემსოს“ მეგობარ ფეხბურთელთა შესაძლო დასჯაზე ამა თუ იმ საშუალებით (მაგალითად, ბიზნესში წილების წართმევით). და, რაც მთავარია, „თავისუფლების ინსტიტუტმა“ რევანში აიღო ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში განცდილი ფიასკოს გამო — როგორც იცით, გეწაძე კირკიტაძის თანამოაზრეა, ზედიზედ მეორე წაგება კი უსაზღვრო ძალაუფლებით დაბანგულ რეფორმატორთათვის ძნელად გადასატანი იქნებოდა. დასანანია, რომ შიდაპარტიულ „კონტრას“ ღირსეული პიროვნების დაუმსახურებელი დატორვა მოჰყვა, თუმცა, მოდით, ისიც ვიკითხოთ — ზრუნავს კი ვინმე ჩვენს ქვეყანაში ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დაცვაზე?

სხვათა შორის, წლევანდელმა 13 მაისმა ერთგვარი ლაკმუსის ქაღალდის როლი ითამაშა. მხედველობაში გვაქვს ის გულგრილობა, როგორითაც ქართულმა საფეხბურთო ოჯახმა აღნიშნულ დარტყმას უპასუხა (რასაკვირველია, აქ არ ვგულისხმობთ ცალკეულ გამონაკლისებს). თუ ცნობილი გამოთქმის პერიფრაზირებას მოვახდენთ, უნდა ითქვას, რომ ფეხბურთის ფედერაციას სწორედ ისეთი ხალხი მართავს, როგორიც მედროვე, უპოზიციო და ინერტულ რიგით წევრებს ეკადრებათ.

ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ.

გია პლატონიშვილი

◎ სახელი

ვარსკვლავი ღამეს დარბაზშიც ათევდა

სამამულო კალათბურთის წარმატებებში უდიდესი წვლილი მიუძღვის გასული საუკუნის 40-50-იანი წლების ქართული სპორტის ვარსკვლავ ნოდარ ჯორჯიკიას, რომელიც ვირტუოზული, განუმეორებელი თამაშის მანერით ხიბლავდა მაყურებელს. ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორს, ევროპის 1947 წლის ჩემპიონს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების ხუთგზის გამარჯვებულსა და საკავშირო თასის ორგზის მფლობელს არა მარტო გამორჩეული სპორტსმენობით, არამედ კაცობითაც იცნობდნენ.

— ყოველ საღამოს ქანცის გამოცლამდე ვვარჯიშობდით, — გაიხსენა ერთხელ ბატონმა ნოდარმა ჩემთან საუბარში. — ხშირად, გვიან შინ წასვლა რომ დამზარებია, თანაგუნდელებთან ერთად დარბაზში დავრჩენილვარ და დაღლილ-დაქანცულებს იქ გაგვითევია ღამე. 1940 წელს სვერდლოვსკში ვიასპარეზეთ და საკავშირო ჩემპიონატის პირველ ჯგუფში თამაშის უფლება მოვიპოვეთ. მომდევნო წელს ლენინგრადში ათი ქალაქის ნაკრები გუნდების მონაწილეობით გამართულ ზამთრის ტურნირში ევროპის პირველ ჩემპიონებს — ლატვიელებსაც ვაჯობეთ, მაგრამ ტალინელებთან დავმარცხდით და მეორე ადგილს დავჯერდით...

თანამედროვეთა გადმოცემით, ნოდარ ჯორჯიკია ყველა მატჩში ბოლომდე იხარჯებოდა, ბრძოლის ჟინითა და თავდადებით მაგალითს აძლევდა თანაგუნდელებს. ერთხელ ქართული კალათბურთის ლეგენდამ ოთარ ქორქიამ საინტერესო ეპიზოდი მიამბო: „სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საკავშირო პირველობაზე მოსკოველ თანაკლუბელებს ვხვდებოდით. მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე, ტენდენციური მსაჯობის გამო, მოედანზე სამნი დავრჩით. დამარცხება გარდაუვალი იყო. სათადარიგოთა სკამზე ნოდარ ჯორჯიკია იჯდა — ბრმანაწლავის ოპერაცია ახალი გაკეთებული ჰქონდა. მოულოდნელად იგი წამოხტა და გახდა დაიწყო. გუნდის ექიმისა და მწვრთნელის წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც გამოვიდა მოედანზე და... მატჩი მოგვაგებინა. თამაშის შემდეგ გასახდელში ყველამ დავინახეთ, ნაოპერაციევი რომ გახსნოდა და სისხლი ჟონავდა“.

...სამშობლოსთვის პირველი სისხლი ნოდარ ჯორჯიკიამ კავკასიის მისადგომებთან ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომში გაიღო.

— 1941 წლის აგვისტოს მიწურულს ჯარში გამიწვიეს და სოხუმის ქვეითთა სასწავლებელში ჩამრიცხეს. სამთვიანი კურსების დამთავრების შემდეგ უმცროსი ლეიტენანტის ჩინით მახაჩყალაში გამგზავნეს. საბრძოლო ნათლობა სადგურ პროხლადნაიასთან მივიღე. მსუბუქად დავიჭერი, ბევრი მეგობარი დავკარგე ბრძოლის ველზე. მტრის შეჩერება მაინც ვერ შევძელით და უკან დავიხიეთ. 1942 წლის ნოემბერში ჩვენმა დივიზიამ უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანება მიიღო — იერიში მიგვეტანა მტრის გამაგრებულ პუნქტებზე. საბრძოლო დავალების შესასრულებლად აუცილებელი იყო მდინარე ბაქსანზე ხიდის გამართვა. მე და სერგო წულეისკირმა ცივი და მღვრიე მდინარე ორჯერ გადავცურეთ და თოკი გავჭიმეთ...

სამხედრო დავალების პირნათლად შესრულებისთვის ნოდარ ჯორჯიკიამ პირველი საბრძოლო ჯილდო მიიღო — მედალი „მამაცობისთვის“. ქართველი კალათბურთელი კიდევ რამდენიმე თვე იბრძოდა კავკასიის მისადგომებთან. სამჯერ დაიჭრა, მაგრამ ფრონტის წინა ხაზი არ მიუტოვებია. მამაცობისთვის დაჯილდოვდა „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით და მედლებით — „საბრძოლო დამსახურებისთვის“, „კავკასიის დაცვისთვის“.

... 1943 წლის გაზაფხულზე ნოდარ ჯორჯიკია თბილისში გამოგზავნეს ოფიცერთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე. აქედან იწყება მისი ახალი ცხოვრება — ნაომარი ჭაბუკი, რომლის თამაშიც ახსოვდათ უმაღლესი სასწავლებლების ნაკრებიდან, მალე თბილისის წითელი არმიის ოფიცერთა სახლის კალათბურთელთა გუნდში მიიწვიეს. მის შემადგენლობაში 1944 და 1946 წლებში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატები მოიგო, 1945 წელს მე-2 ადგილზე გავიდა.

პირველ საერთაშორისო წარმატებას 1947 წელს მიაღწია საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად, რომელშიც გამოდიოდნენ ოთარ ქორქია, ევგენი ალექსეევი, იური უშაკოვი, ანატოლი კონევი, ვასილ კოლპაკოვი, სერგეი ტარასოვი, სტიაპას ბუტაუტასი, იუსტას ლაგუნავიჩუსი, ვიტაუტას კულაკაუსკასი, კაზის პეტკიავიჩუსი, ილმარ კულამი და ივან ლისოვი. პრაღიდან იგი ოქროს მედლით დაბრუნდა...

მერე იყო 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიადა. თამაშებზე საბჭოთა გუნდის კაპიტან ოთარ ქორქიას და ნოდარ ჯორჯიკიას ტანდემის შეკავება ბრაზილიელებმა, ჩილელებმა და ურუგვაელებმა ვერ შეძლეს. ფინალში საბჭოთა ნაკრები ამერიკელებს შეხვდა. მატჩში, როცა ანგარიში თანაბარი იყო (23:23) და ოთარ ქორქიამ ოთხი საჯარიმოს გამო მაყურებლებში გადაინაცვლა, ოკეანისგაღმელები ნელ-ნელა დაწინაურდნენ, 36:25 გაიმარჯვეს და ოლიმპიური ჩემპიონობა შეინარჩუნეს. საბჭოთა ნაკრები მეორე ადგილს დასჯერდა. ჯორჯიკიას გუნდთან ერთად ვერცხლის მედალი ერგო. შემდეგ კიდევ ხუთი წელიწადი იცავდა თბილისის „დინამოს“ ღირსებას.

ბატონი ნოდარი ინტელექტითაც გამორჩეული გახლდათ. არც არის გასაკვირი — ცნობილი მწერლისა და პედაგოგის — ჯაჯუ ჯორჯიკიას ოჯახში გაიზარდა, სადაც ხშირად იკრიბებოდნენ ქართველი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები. მათთან ურთიერთობამ დიდი ზეგავლენა მოახდინა ჭაბუკის პიროვნებად ჩამოყალიბებაში.

სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი ნოდარ ჯორჯიკია 2008 წლის 2 ივნისს 87 წლისა გარდაიცვალა.

ვაჟა დანელია

◎ ხელბურთი

წილი ნაყარია

თბილისის ოლიმპიური სასახლე წლეულს 8-20 აგვისტოს 19-წლამდელ ხელბურთელ ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს უმასპინძლებს. შეჯიბრებაში 24 გუნდი იბრძოლებს მედლებისთვის. გუშინ ბაზელში, ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის ოფისში გაიმართულმა წილისყრამ გუნდები ჯგუფებში ასე გადაანაწილა:

A ჯგუფი: საფრანგეთი, დანია, შვედეთი, ბაჰრეინი, ეგვიპტე, ნორვეგია.

B ჯგუფი: გერმანია, ისლანდია, **საქართველო,** ჩილე, იაპონია, ალჟირი.

C ჯგუფი: ხორვატეთი, არგენტინა, ბრაზილია, პორტუგალია, ვენესუელა, კორეა.

D ჯგუფი: სლოვენია, ესპანეთი, სერბეთი, ტუნისი, რუსეთი, მექსიკა.

უკვე ცნობილია, რომ სტარტზე 8 აგვისტოს საქართველოს ნაკრები ალჟირს გაუწევს მეტოქეობას, შემდეგ კი იაპონიას, ისლანდიას, გერმანიასა და ჩილეს შეხვდება.

გივი გაგუა

◎ ფეხბურთი

როცა ორივე კმაყოფილია

რა არის საჭირო, დიდების შარავანდედი რომ დაიდგა და საფეხბურთო სამყაროს აზანზარებდე?

პასუხი უმარტივესია: სახელად მადრიდის „რეალი“ უნდა გერქვას. თუ „სამეფო კლუბი“ ხარ, ნებისმიერ ეპოქაში წარმატება გარანტირებული გაქვს. აკი ამიტომაც ითვლება თეთრმაისურიანთა ანსამბლი ყველა დროის უძლიერეს გუნდად, ჩემპიონთა ლიგაში მეთორმეტე ტრიუმფისკენ ჩვეული ჟინით რომ მიიწევს და 3 ივნისს უელსის დედაქალაქ კარდიფის ზღაპრულ სტადიონ „მილენიუმზე“ ფინალურ შეხვედრას ტურინის „იუვენტუსთან“ გამართავს.

„ატლეტიკო“ — „რეალი“ 2:1 (2:1)

პირველი მატჩი 0:3

გოლები: საული, გრიზმანი; ისკო.

ზედიზედ მეოთხედ ვიხილეთ მადრიდული დერბი და დიეგო სიმეონე ზედიზედ მეოთხედ დარჩა უტიტულოდ.

საპასუხო რაუნდის წინ არგენტინელი სპეციალისტი გულშემატკივრებს ჰპირდებოდა, რომ მისი შეგირდები საფინალო სასტვენამდე იბრძოლებდნენ სრულფასოვანი რევანშის ასაღებად. მართლაც, „შავ-წითლები“ თავიდანვე ეკვეთნენ მრისხანე მეტოქეს და მე-16 წუთზე ჰაერში სასწაულის სუნი დატრიალდა — 2:0! სწორედ ამ კრიტიკულ ვითარებაში გამოჩნდა ზინედინ ზიდანისა და მისი ძლევამოსილი არმადის ჭეშმარიტი სახე — ჯოხის ჯადოსნური მოქნევისა არ იყოს, „რეალი“ მალევე მოეგო გონს, მოწინააღმდეგეს ბურთი დაუმალა და პრობლემა შესვენებამდე გადაჭრა, როცა ბენზემას გენიალური ფლანგური გარღვევა ისკოს მხსნელი გოლით დაგვირგვინ.და.

ასე რომ, „ვისენტე კალდერონის“ სტადიონის დანგრევას ორივე კასტილიური გრანდი კმაყოფილი ხვდება.

გიორგი ზოთაძე



◎ სტუმარი, რომელიც მასპინძლის ლხინი არ არის

„კეპკა“ საქართველოში და პუტინის „ჰიბრიდული ომი“

შორეულ 1989 წელს „ეროვნული მოძრაობის“ ერთ-ერთ მიტინგზე ირაკლი ბათიაშვილმა პირველად გამოიყენა ტერმინი „კრემლის ლაბორატორიები“. მოგვიანებით, ეს ტერმინი ქართულმა „ინტელიგენციამ“ დაგმო, როგორც „რუსოფობიული“ და „კონსპიროლოგიური“, ანუ არავითარი „ლაბორატორიები“ არ არსებობს და ეს ყოველივე მხოლოდ პათოლოგიური აზროვნების ნაყოფიაო.

ჰოდა, სანამ იური ლუჟკოვის „უცნაურ“ ვიზიტზე ვიტყოდეთ ორიოდე სიტყვას, იქნებ „ვკითხოთ“ ამერიკული FBI დირექტორს, ახლახან თანამდებობიდან სკანდალურად გადაყენებულ ჯეიმს კომის, ასევე, ჰილარი კლინტონს ან ტრამპის ადმინისტრაციის იმ წევრებს, რომლებმაც ნამდვილად აღარ იციან, რა იღონონ და როგორ გამოძვრნენ იმ ოსტატურად მოქსოვილი ბადიდან, რომელშიც რუსეთის საიდუმლო სამსახურმა გახვია ყველანი.

თითქოს რა კავშირია მოსკოვის ყოფილი მერის, გარკვეულ წრეებში „კეპკად“ ცნობილ იური ლუჟკოვის „ასურელი მამა“ სერაფიმეს ტაძარში მოლოცვასა და ჰილარი კლინტონის ერთ-ერთი ჭკუათხელი თანაშემწე ქალის კომპიუტერიდან მოპარულ მეილებს შორის? საერთო მხოლოდ ისაა, რომ ორივე შემთხვევაში ეტყობა ჭკვიანური პროვოკაციის „ხელწერა“.

პუტინი, რასაკვირველია, თავად არ ზის და არ იგონებს მორიგ ოპერაციებს: მან შექმნა (აღადგინა) სპეცსამსახურები, დააფუძნა „ინტერნეტ-არმია“, ასევე „საინფორმაციო ჯარები“, რომელთა ოფიცრები დილით მიდიან სამსახურში, სხდებიან მრგვალ მაგიდასთან და ისევე გეგმავენ ამგვარ პროვოკაციებს, როგორც სამხედრო ოპერაციებს. თანაც, „მოწინააღმდეგის“ ყველა შესაძლო, ალბათური საპასუხო ნაბიჯის გათვალისწინებით.

დავაკვირდეთ: ვინ მოიპატიჟა იური ლუჟკოვი საქართველოში? აბსოლუტურად უცნობია! „მამა სერაფიმე“, რომლის „არამეულ“ ტაძარშიც იმყოფებოდა მოსკოვის ყოფილი მერი, გაგულისებული ამტკიცებს: „მე არ მომიწვევიაო“ და მართალსაც ამბობს. „ბიძინამ მოიწვიაო“, სისულელეა. სავარაუდოა, რომ არც არავის მოუწვევია. უფრო ზუსტად, ვინმემ კი არ „მოიწვია“, არამედ „გამოაგზავნეს“ გარკვეული მისიით, რაც „კეპკასათვის“ წვრილმანი იყო, მაგრამ საქართველოს საკითხზე მომუშავე „ლაბორატორიისთვის“ რაღაც უფრო დიდი ოპერაციის მნიშვნელოვანი შემადგენელი.

იური ლუჟკოვი საქართველოში ვეღარ შემოვა

იური ლუჟკოვი ე.წ. შავ სიაში იქნება შეყვანილი და ის საქართველოში ვეღარ შემოვა — ეს განცხადება შს მინისტრის მოადგილემ შალვა ხუციშვილმა გააკეთა.

„ამ ეტაპზე რაც მოხდა, განპირობებული იყო იმით, რომ თავის დროზე ლუჟკოვი არ იყო შეყვანილი „შავ“ სიაში. ჩვენ შევიყვანთ მას ამ სიაში და საქართველოში ვეღარ შემოვა“, — განაცხადა შალვა ხუციშვილმა.

როგორც რუსი ჟურნალისტები წერენ, თვით იური ლუჟკოვი, „ძველბიჭური“ ზედმეტსახელით „კეპკა“, განსაკუთრებულ რელიგიურობაში „შემჩნეული“ არასდროს ყოფილა. ასურეთთან მისი რაიმე ისტორიული თუ თანამედროვე კავშირიც სასაცილოა და ისიც საეჭვოა, არამეულ ენას ქართულისგან არჩევდეს.

ხომ თითქოს რა სხვაობა იყო, სვეტიცხოველში მივიდოდა თუ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ასურული მრევლის ტაძარში? მაგრამ არა, ვინც ოპერაცია დაგეგმა, ზუსტად იცოდა, რა შედეგი მოჰყვებოდა ლუჟკოვის ვიზიტს და მათთვის მნიშვნელოვანი იყო, აერჩიათ „მიზნობრივი ჯგუფი“, რომელიც განსაკუთრებით სენსიტიური, ანუ მოწყვლადი იქნებოდა საპასუხო რეაქციის შემთხვევაში: ასურელები, ჯერ ერთი, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობაა; გარდა ამისა, სირიაში მათ წინააღმდეგ განხორციელებულმა გენოციდმა ისინი მსოფლიო მედიის „ტოპ-ნიუსთა“ გმირებად აქცია. შესაბამისად, ბუნებრივი აღშფოთებისა და კრიტიკის პასუხად ამ მტკივნეული თემით სპეკულირება გარდაუვალი იყო და გათვლა მართლაც საოცრად ზუსტი აღმოჩნდა. გავიხსენოთ, რა თქვა „მამა სერაფიმემ“: „...როცა მესმის საყვედური, აბა ასურელები ამოეხოცა, როგორც ქართველები ამოხოცეს...“.

ანუ, შედეგი მიღწეულია და ლუჟკოვმა მისია პირნათლად შეასრულა. იგი კვლავ „პროექტის“ შემადგენელია, მიუხედავად გადადგომის და რუსეთის სახელისუფლებო ელიტისგან ჩამოშორებისა. „ყოფილი თანამშრომლები“ კი არ არსებობენ. მით უმეტეს მულტიმილიონერი ლუჟკოვის შემთხვევაში.

* * *

გავრცელებული გულუბრყვილო მოსაზრების მიუხედავად, საზღვარზე „არშემოშვება“ საქმეს ვერ უშველის და ამგვარი პროვოკაციებისგან ვერ დაგვიცავს: „ლაბორატორიებში“ ნებისმიერი საპასუხო ნაბიჯი გათვლილი აქვთ, რაკი ურჩიეს, არავითარ შემთხვევაში არ წამოეღო ის პასპორტი, რომელშიც „აფხაზური“ და „ოსური“ სასაზღვრო შტამპები ექნებოდა ჩარტყმული.

მერედა, „განა ყველამ ისედაც არ იცის, რომ ნამდვილად იმყოფებოდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე?“: კი, იცის, მაგრამ ადამიანური და იურიდიული ლოგიკა ერთმანეთს ხშირად როდი ემთხვევა. პოლიტიკური ინტერესები და პოლიტიკური ლოგიკა კიდევ მესამეა: „ღამის მგლების“ შეჩერების შემდეგ სუსტი და ფრთხილი ხელისუფლება მოერიდებოდა მორიგი რადიკალური და რეზონანსული გადაწყვეტილების მიღებას.

თანაც, ნახეთ, საიდან შემოვიდა: სომხეთიდან! სადახლოს საზღვარზე გაჩერება ქართულ-სომხურ დისკურსსაც შექმნიდა.

სინამდვილეში, ამგვარი პროვოკაციებისაგან თავის დასაცავად ერთადერთი გამოსავალი საზოგადოების შეგნებაა.

აი, მაგალითად, ბოლო რამდენიმე დღეა, ბევრი სერიოზული დასავლელი მკვლევარი სვამს კითხვას: რატომ ვერ მოახერხა პუტინმა საფრანგეთში იგივე, რაც ამერიკაში? რატომ მოიგო (თანაც დამაჯერებლად მოიგო) მაკრონმა და წააგო ლე პენმა? „პუტინის საიდუმლო არმია“ იქაც ხომ იმავე ტექნოლოგიებს იყენებდა: ინტერნეტქსელის შექმნა, ყალბი ექაუნთები ფეიკ-ნიუსების „გასავრცელებლად“, BOT-ების მთელი ლეგიონი, მასალების მოპარვა და მერე იმ სასარგებლო იდიოტთა საკრებულო „უიკილიქსისთვის“ გადაცემა და ა.შ და ა.შ.

მაინც არაფერი გამოვიდა. „არ გამოვიდა“ იმ აზრით, რომ სერიოზული საზოგადოებრივი კონფლიქტის პროვოცირება ვერ მოხერხდა, თორემ ლე პენი რომ იმანუილ მაკრონს ვერ დაამარცხებდა, იმთავითვე ნათელი იყო.

რატომ არ გამოვიდა? — სვამენ კითხვას მკვლევარები. პასუხი: იმიტომ, რომ ფრანგული საზოგადოება, მთლიანობაში, უფრო მეტად „აცრილი“ აღმოჩნდა პოპულიზმზე და პროვოკაციაზე, ვიდრე ამერიკული! ამიტომაც, რამდენს არ ეცადნენ, მაგრამ ფრანგული საზოგადოების უმეტესობა მაინც სოლიდურ წყაროებს ანიჭებდა უპირატესობას ამა თუ იმ ცნობის გავრცელებისას და ნაკლებად სჯეროდა საინფორმაციო დივერსიებისა.

ძლიერი, მიზანმიმართული და შეგნებული საზოგადოების მიმართ, ვისაც მტკიცე ღირებულებები აქვს, „კრემლის ლაბორატორია“ უძლურია. ამას ისტორია და თანამედროვეობა მთლიანად ადასტურებს.

ნიკა იმნაიშვილი

◎ ისრაელი და საქართველო

თანამშრომლობა შრომით მიგრაციასთან დაკავშირებით

10 მაისს თბილისში გაიმართა ორმხრივი საკონსულო კონსულტაციები საქართველოსა და ისრაელის სახელმწიფოს შორის. ისრაელის დელეგაციას ხელმძღვანელობდა ისრაელის სახელმწიფოს საემიგრაციო სამსახურის გენერალური დირექტორი ამნონ შმუელი.

კონსულტაციებზე, სხვა საკითხებთან ერთად, განიხილეს ისრაელის სახელმწიფოში არალეგალური მიგრაციის საკითხზე ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები. მხარეებმა გამოხატეს მზადყოფნა, აქტიურად იმუშაონ საქართველოს მხრიდან ისრაელში არალეგალურ მიგრანტთა ნაკადის მაჩვენებლის შესამცირებლად, რაც საბოლოო ჯამში ორივე ქვეყანას საშუალებას მისცემს დაიწყონ საუბარი შრომითი მიგრაციის თაობაზე.

საკონსულო კონსულტაციებისას მხარეებმა მიაღწიეს პრინციპულ შეთანხმებას, რომ ამ ეტაპზე შრომითი მიგრაციის პირობები გავრცელდეს ისრაელში არალეგალურად მყოფ საქართველოს მოქალაქეებზე, თუკი ისინი ნებაყოფლობით დატოვებენ ისრაელის სახელმწიფოს. მხარეები ასევე შეთანხმდნენ, უახლოეს მომავალში შეიმუშაონ იმ ღონისძიებების ჩამონათვალი, რომლის დაცვაც აუცილებელი იქნება ისრაელის სახელმწიფოში არალეგალურად მყოფი საქართველოს მოქალაქეების მხრიდან ისრაელის სახელმწიფოს დატოვების შემთხვევაში.

გლდანის ციხის ყოფილი თანამშრომლები დააკავეს

საქართველოს მთავარი პროკურატურის თანამშრომლებმა პატიმართა მიმართ დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ბრალდებით, სასამართლოს განჩინების საფუძველზე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №8 დაწესებულების ყოფილი თანამშრომლები — მალხაზ ღვინიაშვილი, ნუგზარ მარღია, ზაზა ხარაიშვილი, ვახტანგ გუგუციძე, დავით ჩიხლაძე და დავით ნოზაძე დააკავეს, ხოლო ამავე დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ყოფილი უფროსი, ამჟამად პატიმრობაში მყოფი ოლეგ ფაცაცია, სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული.

პროკურატურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ 2011-2012 წლებში, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №8 დაწესებულებაში მუშაობის პერიოდში, პატიმართა დაშინებისა და უსიტყვო მორჩილების მიზნით, ოლეგ ფაცაციას, ნუგზარ მარღიას, მალხაზ ღვინიაშვილის, ზაზა ხარაიშვილის, ვახტანგ გუგუციძის, დავით ჩიხლაძისა და დავით ნოზაძის მხრიდან ადგილი ჰქონდა პატიმართა დამცირებას და არაადამიანურ, ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენებას. დადგინდა, რომ აღნიშნული პირები პატიმრებს №8 დაწესებულებაში შესახლებისას, განურჩევლად უსწორდებოდნენ ძალადობრივი მეთოდებით, აყენებდნენ მათ სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას, ხოლო შემდგომ პერიოდშიც ამავე პატიმართა მიმართ ფიზიკურ ანგარიშსწორებას ჰქონდა სისტემატიური ხასიათი, რისი მიზანიც იყო მათი უსიტყვო მორჩილება.

მათივე ინფორმაციით, ბრალდებულთა ქმედებების შედეგად პატიმრებს უკანონოდ შეზღუდული ჰქონდათ გასეირნების, სატელეფონო საუბრებისა და მიმოწერის უფლება. არ ჰქონდათ სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობა, მათ ასევე შეზღუდული ჰქონდათ ძილისთვის და დასვენებისთვის განკუთვნილი დრო. გარდა აღნიშნულისა, პატიმრებს აიძულებდნენ, თანხმობა განეცხადებინათ სასჯელაღსრულების ადმინისტრაციასთან ფარულ თანამშრომლობაზე. გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ ბრალდებულთა მხრიდან ხშირ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა პატიმრების საკნიდან თვითნებურად გაყვანას და დაწესებულების კორპუსში მდებარე აბანოში განთავსებას, სადაც ხელკეტებისა და სხვადასხვა საგნების გამოყენებით ხდებოდა მათზე ფიზიკური ანგარიშსწორება. ამასთან, პატიმართა მორალური ტანჯვის

მიზნით, ადგილი ჰქონდა მათ მოთავსებას სასჯელაღსრულების დაწესებულების მორგში გარდაცვლილ პირებთან ერთად, სადაც პატიმრებს ამწყდევდნენ გარკვეული დროის მანძილზე.

მიმდინარე გამოძიების ფარგლებში დაიკითხა 600-მდე მსჯავრდებული, რომლებიც სხვადასხვა დროს განთავსებული იყვნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №8 დაწესებულებაში და მათგან აბსოლუტური უმრავლესობა წლების განმავლობაში იყო ძალადობის მსხვერპლი. როგორც გამოძიებით დადგინდა, პატიმრების მიმართ სასტიკი და არაადამიანური მოპყრობა №8 დაწესებულებაში გახლდათ დანერგილი პრაქტიკა, რასაც ჰქონდა სისტემური ხასიათი და გამიზნული იყო პატიმართა დამცირების, დაშინებისა და უსიტყვო მორჩილებისკენ. განსახილველი საქმე არის კომპლექსური და მრავალეპიზოდიანი. ზემოთ დასახელებული ფაქტების გარდა, საქმეზე დაკითხული ათეულობით მოწმე ბრალდებულებს ამხელს სხვა, არაერთ ძალადობრივ ეპიზოდში. მაგალითად, სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების უფროსს ოლეგ ფაცაციას, დაკითხული მოწმეებიდან ამხელს 200-ზე მეტი პირი. ამავე განყოფილების თანამშრომელს მალხაზ ღვინიაშვილს, რომელსაც პატიმრები ზედმეტსახელად მოიხსენიებდნენ — „ლისი“ იგივე „ფაშისტის“ სახელით, ძალადობაში და არაადამიანურ მოპყრობაში ამხელს 100-ზე მეტი პირი. ბრალდებულის სახით დაკავებულ ზაზა მარღიას, ვახტანგ გუგუციძეს და დავით ჩიხლაძეს ძალადობაში და არაადამიანურ მოპყრობაში ასევე ამხელს საქმეზე დაკითხული ათეულობით პირი. ჩადენილი დანაშაული სასჯელის სახედ და ზომად ოთხიდან ექვს წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

კორეელები საქართველოსთან საქმიანი ურთიერთობებით დაინტერესდნენ

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის წლიური შეხვედრის ფარგლებში, კვიპროსის ქალაქ ნიკოზიაში საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერი, ფინანსთა მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი კორეის რესპუბლიკის სტრატეგიისა და ფინანსთა მინისტრის მოადგილეს ინ-ჩანგ სონგს შეხვდა.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრაზე განხილული იყო საქართველოსა და კორეას შორის ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხები. აღინიშნა, რომ დადებითი დინამიკის მიუხედავად, არსებობს განვითარების დიდი შესაძლებლობები.

„კორეის რესპუბლიკის მთავრობა დაინტერესებულია ჩვენს ქვეყანასთან ურთიერთობების გაღრმავებით, საქართველოში არსებული საინვესტიციო პოტენციალის ათვისებით. როგორც მოგეხსენებათ, „ნენსკრაჰ ესის“ ერთ-ერთი ყველაზე დიდი საინვესტიციო პროექტი სწორედ კორეის თანამონაწილეობით ხორციელდება — პროექტში მონაწილეობს კორეის სახელმწიფო კომპანია „K Water“-ი. გარდა ამისა, ჩვენ ვისაუბრეთ აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის დერეფნის გაუმჯობესების პროექტსა და სამხრეთ-ჩრდილოეთის საგზაო სატრანზიტო ინფრასტრუქტურის განვითარების პერსპექტივაზე“, — განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა

დიმიტრი ქუმსიშვილმა.

შეხვედრაზე კორეულმა მხარემ გამოხატა დიდი ინტერესი და მზაობა, რათა საქართველოში განახორციელოს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პროექტები ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში, რომელთაც საქართველოს მთავრობა მიზანშეწონილად მიიჩნევს.

ბათუმი მინისტერიალისთვის ემზადება

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დელეგაცია, მინისტრ ლევან იზორიას ხელმძღვანელობით, თანამედროვე სამხედრო აღჭურვილობასა და შეიარაღებას, ასევე უახლეს ტექნოლოგიურ მიღწევებსა და პროგრამებს გაეცნო. საერთაშორისო თავდაცვის მრეწველობის გამოფენა (IDEF) ევრაზიის რეგიონში ყველაზე დიდ თავდაცვის ინდუსტრიულ გამოფენას წარმოადგენს, ხოლო მონაწილე ქვეყნების, დელეგაციებისა და კომპანიების მხრივ მსოფლიოს მასშტაბით მეხუთე ადგილზეა.

ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში, ლევან იზორიამ თურქ კოლეგასთან ფიქრი ისიკთან ორმხრივი შეხვედრაც გამართა. განსაკუთრებული ყურადღება უახლოეს მომავალში ბათუმში დაგეგმილ საქართველო-თურქეთი-აზერბაიჯანის სამმხრივ მინისტერიალზე გამახვილდა, რომლის დროსაც თავდაცვის მინისტრები სამმხრივ ფორმატში თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმს გააფორმებენ. დოკუმენტი სამხედრო სფეროში ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავებას ითვალისწინებს.

შეხვედრაზე საქართველოს თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა კოლეგას თურქეთის ძლიერი პოლიტიკური მხარდაჭერისა და პრაქტიკული დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ თურქეთი საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი და ახლო მეგობარია. საუბარი სამხედრო განათლების კუთხით მჭიდრო თანამშრომლობასაც შეეხო. საუბრის ბოლოს კი, ლევან იზორიამ კოლეგა თურქეთის მაღალი რანგის სხვა სტუმრებთან ერთად ოქტომბერში, საქართველოში დაგეგმილ თავდაცვისა და უსაფრთხოების ყოველწლიურ კონფერენციაზე მოიწვია.

წარმატებული ოჯახებისა და ქვეყნისთვის საჭირო ადამიანების ბენეფისი დედოფლისწყაროში

ამ დღეებში დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის (დირექტორი დალი ელისაშვილი) საკონცერტო დარბაზში გაიმართა ნომინაციაში „წარმატებული ოჯახი წარმატებული ქვეყნის საწინდარია“ გამოვლენილი ნომინანტების დაჯილდოების ცერემონია. ათეული წელია, რაც საქველმოქმედო საზოგადოება „ამაგდარი“ და გაზეთი „საქართველოს ლირიკა“ საქართველოს მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულებს აჯილდოებს.

ასე იყო ამჯერადაც **„...ერის საწყისი და ძირითადი ბირთვი ოჯახია“,** — ჭაბუა ამირეჯიბის ეს სიტყვები ლაიტმოტივად გასდევდა ამ ღონისძიებას. წარმატებული ოჯახის გამარჯვებული ნომინაციები: **ამირან არაბული და ეთერ თათარაიძე, ჯემალ და მანანა ბაღაშვილები** (თბილისიდან), **რომან მჭედლიშვილი და ნინო გომართელი** (ბორჯომიდან), **გივი ღვინიაშვილი და რეგინა ჯანიაშვილი, იაგო ყოჩიაშვილი და ლია ხუციშვილი, სოსო და მარინე თევზაძეები** (დედოფლისწყაროდან) დაჯილდოვდნენ ამაგდარის სიგელით, რომელიც გადასცა საქველმოქმედო საზოგადოება „ამაგდარის“ თავმჯდომარემ **ვახუშტი ქიზიყურაშვილმა.** დაჯილდოებულების ღვაწლზე ვრცლად ისაუბრა კულტურის სახლის დირექტორმა და კულტურული ღონისძიებების უცვლელმა წამყვანმა **ცარო მარტიაშვილმა.** ოჯახის სიწმინდეზე ისაუბრეს და დამსწრეთ თბილი სიტყვებით მიმართეს ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის ეპისკოპოსმა მეუფე **დიმიტრიმ,** საქართველოს პარლამენტის წევრმა, დედოფლისწყაროსა და სიღნაღის რაიონების მაჟორიტარმა დეპუტატმა **ირაკლი შიოლაშვილმა,** ცნობილმა პოეტმა **თემურ ჩალაბაშვილმა,** საკრებულოს თავმჯდომარემ **ნუგზარ პაპიაშვილმა.** ყველასთვის საყვარელმა მუსიკოსმა და ფოლკლორისტმა **გია ბაღაშვილმა,** დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორმა **ნონა ჯიბღაშვილმა,** გამგეობის განათლებისა და კულტურის სამსახურის უფროსმა **თამარ თამაზაშვილმა,** საქართველოს კულტურის პალატის პრეზიდენტმა **დავით ოქიტაშვილმა,** რომელიც თავად ერთ-ერთი პრესტიჟული ნომინაციის „ქვეყნისათვის საჭირო ადამიანი“ გამარჯვებული გახლდათ და ბატონმა **ვახუშტი ქიზიყურაშვილმა** სპეციალური სიგელით დააჯილდოვა.

ღონისძიება დაიწყო დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიიდან, სადაც ჯვარი დაიწერეს **გივი ღვინიაშვილმა და რეგინა ჯანიაშვილმა.** ჯვრისწერის ცერემონიალში თბილისელმა წარმატებული ოჯახების წარმომადგენლებმაც მიიღეს მონაწილეობა, ხოლო შემდეგ ხელოვნების სკოლის საკონცერტო დარბაზში გამარჯვებულ წყვილთა პატივსაცემად გაიმართა გალა-კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ადგილობრივი ცნობილი ფოლკლორული ანსამბლები.

დამსწრე საზოგადოებამ და თბილისიდან ჩამობრძანებულმა საპატიო სტუმრებმა ღონისძიების ინიციატორს და ორგანიზატორს გაზეთ „საქართველოს ლირიკის“ რედაქტორის მოადგილეს **ნანა ჭიჭინაძეს,** პროექტის მხარდამჭერებს **ნიკოლოზ ჯანიაშვილს, ვანო ნატროშვილს,** საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს, შპს „შირაქის“ რედაქტორს **ნაირა გორაშვილს** და ახალგაზრდა სპონსორებს **ბექა გონაშვილს** და **ნინო ბახტაძეს** გულწრფელი მადლობა გადაუხადეს ასეთი დაუვიწყარი საღამოს მოწყობისთვის.

მარიკა პოპიაშვილი

ხსოვნა

ავთანდილ საყვარელიძე

გარდაიცვალა **ავთანდილ საყვარელიძე** – ღირსეული მამულიშვილი, ცნობილი ქართველი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, ვის სახელთანაც დაკავშირებულია საქართველოს უახლესი ისტორიის არაერთი მნიშვნელოვანი მოვლენა.

ავთანდილ საყვარელიძე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის აკადემიის დამთავრების შემდეგ სხვადასხვა პერიოდში მუშაობდა თბილისის ქარხანა „ელექტრაავტომატის“ ინჟინრად, უფროს ინჟინრად, საქართველოს მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის სწავლულ მდივნად, რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის განყოფილების გამგედ, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ინპექტორად, თბილისის მთაწმინდის რაიკომის პირველ მდივნად.

მნიშვნელოვანია მისი წვლილი საქართველოში ენციკლოპედიური საქმიანობის განვითარების საქმეში. იგი, როგორც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ქართული ენციკლოპედიის სპეციალური სამეცნიერო რედაქციის აქტიური წევრი, მთავარ რედაქტორ ირაკლი აბაშიძის გარდაცვალების შემდეგ, 14 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ენციკლოპედიის სამეცნიერო რედაქციას.

ავთანდილ საყვარელიძემ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ომამდელი აფხაზეთის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. მან, როგორც აფხაზეთის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა და შემდეგ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, ღირსეული წვლილი შეიტანა სოხუმის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე სოხუმის უნივერსიტეტის ჩამოყალიბებისა და აფხაზეთის ტელევიზიის დაარსების საქმეში. მის სახელს უკავშირდება აფხაზეთის უნიკალური ბუნების დაცვასთან დაკავშირებული ღონისძიებები. აფხაზეთის რთული ეთნო-პოლიტიკური მდგომარეობის მიუხედავად, ავთანდილ საყვარელიძე, როგორც უაღრესად განათლებული და ავტორიტეტული სახელმწიფო მოღვაწე, დამსახურებული სიყვარულითა და ნდობით სარგებლობდა, როგორც მმართველობით რგოლში, ასევე, რეგიონის მრავალეროვან მოსახლეობაში.

სიცოცხლის ბოლო დღემდე არ გაუწყვეტია კავშირი აფხაზეთის დევნილ ხელისუფლებასთან. აქტიურად იყო ჩართული კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების საკითხებთან დაკავშირებულ ღონისძიებებში.

ნათელი დაადგეს მის სახელს, რომელიც სამშობლოსა და მშობლიური ხალხისადმი უანგაროდ გაღებული სიყვარულის მაგალითად შემორჩება შთამომავლობას.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა,
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

ხსოვნა

საქართველოს არქიტექტორთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი არქიტექტორი, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის წევრი

თამაზ ცანავა

ბატონი თამაზი ინსტიტუტის დამთავრების დღიდან შეუდგა შრომით საქმიანობას სპეციალობით და ყველგან, სადაც კი მოუწია მას ცხოვრება და მოღვაწეობა – იქნებოდა ეს მშობლიური ზუგდიდი, აფხაზეთი თუ თბილისი, სადაც ის ცხოვრობდა სიცოცხლის ბოლო თითქმის 30 წელი, არასოდეს უღალატია თავისი საყვარელი საქმისათვის.

კოლეგების სახელით სამძიმარს ვუცხადებთ ბატონი თამაზის ოჯახს, ახლობლებს.

ცანავების გვარს გამოაკლდა კიდევ ერთი საყვარელი ადამიანი

ბატონი თამაზი

ის იყო გამორჩეული თავისი სიკეთით, თავმდაბლობით, შინაგანი ინტელექტით. იყო ლამაზი, მუდამ მოწესრიგებული, ტკბილმოუბარი, სიცოცხლით სავსე და მოსიყვარულე ადამიანი.

ათეული წლების განმავლობაში მუშაობდა მთავარ არქიტექტორად ზუგდიდში და გუდაუთაში, წლობით მუშაობდა თბილისის არქიტექტურის სამსახურში მაღალ თანამდებობებზე. ის გამოირჩეოდა თავისი არაჩვეულებრივი თვისებებით, საქმის ერთგულებით და პროფესიონალიზმით.

თამაზი ყველას დაგვაკლდა, პირველ რიგში, მის ლამაზ და ღირსეულ ოჯახს. წავიდა ვალმოხდილი, პატიოსანი და კარგი ქართველი . დაგვიტოვა ტკბილი მოგონებები.

გვჯერა, რომ ბ-ნი თამაზი პირნათლად წარსდგება უფლის წინაშე და სამუდამო განსასვენებელს დაიმკვიდრებს წმინდა სასუფეველში.

ცანავების საგვარეულო კავშირი

თამაზ დაუშვილი, ვახტანგ ვეფხვაძე, ივიკო საყვარელიძე, ოთარ ბრეგვაძე, მურიკო თოფურიძე, მერაბ მახარაძე, ომარ გოგიაშვილი, მერაბ ახობაძე, ჯიმი ბროძელი, გურამ ახრახაძე, ელიზბარ ლომინაძე, თენგიზ კალანდაძე დიდი გულისტკივილით იუწყებიან მეგობრის, ჭეშმარიტი სახალხო მომღერლის, საუკეთესო პიროვნული თვისებების მატარებელი კაცური კაცის

ნიკო ჯადუგიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

„შესანიშნავი ხუთეულის“ არსენალი

სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ფოთის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1992 წელს დაბადებული გ.ტ., 1993 წელს დაბადებული ლ.შ., 1995 წელს დაბადებული გ.ნ., 1995 წელს დაბადებული ე.ნ. და 2000 წელს დაბადებული თ.ც., ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით, ფოთში დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულების პირადი ჩხრეკის შედეგად ამოიღეს:

თვითნაკეთი ცეცხლსასროლი პისტოლეტი მჭიდითა და 5 საბრძოლო ვაზნით, „GOLD STAR-2002“-ის მოდელის ცეცხლსასროლი პისტოლეტი მჭიდითა და 1 საბრძოლო ვაზნით, თვითნაკეთი ერთლულიანი, გლუვი ლულის მქონე ცეცხლსასროლი იარაღი 1 საბრძოლო ვაზნით, მაკაროვის სისტემის პისტოლეტი მჭიდითა და 2 საბრძოლო ვაზნით, „COMBAT-PP“-ის მოდელის ცეცხლსასროლი პისტოლეტი მჭიდითა და 1 საბრძოლო ვაზნით.

პოლიციამ, ე.ნ.-ს მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანის საბარგულიდან, რომლითაც ბრალდებულები გადაადგილდებოდნენ, 5 ნიღაბი, 5 წყვილი ხელთათმანი და წებოვანი ლენტი — ე.წ. „სკოჩი“ ამოიღო.

ხუთივე დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306'6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გულნარა ხურცილავას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გულნარა ხურცილავა (პ/ნ 29001005486), თბილისი, მე-3 მასივი, III კვარტალი, მე-3 კორპუსი, ბინა №16.

უძრავი ნივთის დგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მე-3 მასივი, III კვარტალი, მე-3 კორპუსი, ბინა №16 (საკადასტრო კოდი: 01.19.20.022.002.01.016).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 49416.87 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 12 მაისი, 14:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 29 მაისი, 14:45 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები** განაცხადის №71271HZP43619817;

აუქციონის ნომერი: 71271

ლოტის ნომერი: 436198

6. **მოვალე:** ნიკოლოზ სხულუხია (პ/ნ 29001013679), თბილისი, მე-3 მასივი, III კვარტალი, მე-3 კორპუსი, ბინა №16.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.

8. **აუქციონის პირობები:**

• აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

• მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

• აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.

• აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP43619817; ლოტის ნომერი: 436198).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 29 მაისის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

◎ დღესასწაული

წმიდისა და ყოვლადქებულისა მოციქულისა ანდრია პირველწოდებულისა,

საქართველოში ქრისტეს პირველმქადაგებლისა

12 მაისს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ანდრია პირველწოდებულს, რომელიც წარმოშობით გალილეიდან იყო.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ როცა იოანე ნათლისმცემელმა იორდანეს ნაპირებზე ქადაგება იწყო, ანდრია იოანე ზებედესთან ერთად წინასწარმეტყველს გაჰყვა და, იმედოვნებდა, რომ თავის სულიერ კითხვებზე პასუხს მის მოძღვრებაში ჰპოვებდა. ბევრი ფიქრობდა, რომ შესაძლოა იოანე ნათლისმცემელი იყო მომავალი მესია, მაგრამ იგი ადამიანებს უხსნიდა, რომ მესია არ არის, არამედ მას მხოლოდ გზას უმზადებს. იმავე ხანებში უფალი იესო ქრისტე იოანე ნათლისმცემელთან მოსანათლად იორდანეზე მივიდა...

საგულისხმოა, რომ ანდრია პირველწოდებულმა გაიგო რა ამის შესახებ, იოანესთან ერთად გაჰყვა იესოს. ანდრიამ, რომელიც სხვა მოციქულებზე ადრე გაჰყვა უფალს, პირველწოდებულის სახელი მიიღო.

აღსანიშნავია ისიც, რომ ანდრია მოციქული ქრისტესთან მთელი მისი ცხოვრების მანძილზე იმყოფებოდა, მაცხოვრის აღდგომის შემდეგ ანდრია მოციქული სხვა მოწაფეებთან ერთად მასთან შეხვედრას ეღირსა და ზეთისხილის მთაზე იმყოფებოდა, როცა უფალმა ისინი აკურთხა და ზეცად ამაღლდა.

...წმინდა ანდრიას წილად ხვდა ქადაგება შავიზღვისპირეთის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, სკვითიაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში.

...გადმოცემის თანახმად, სწორედ ანდრია მოციქული ითვლება რუსეთის, საქართველოს განმანათლებლად, სიმონ კანანელთან და მატათასთან ერთად.

საბერძნეთში დაბრუნებული ანდრია მოციქული კურნავს ბევრ ადამიანს, მაგრამ ქალაქ პატრას მმართველი — ეგეატოსი მოციქულ ანდრიას წინააღმდეგ სიძულვილით აღენთო და მას ჯვარზე გაკვრა მიუსაჯა. ანდრია მოციქული სულაც არ შეუშინდა განაჩენს და შთაგონებული ქადაგებით, შეკრებილთა წინაშე მაცხოვრის ჯვარზე ვნების სულიერი ძალა და მნიშვნელობა გააცხადა. მაშინ მმართველმა ბრძანა, ისე ეცვათ ჯვარზე, რომ მას დიდხანს ეტანჯა. წმინდა ანდრია ჯვარზე ასო X-ის მსგავსად გააკრეს და ხელებში და ფეხებში ლურსმნები დააჭედეს. ჯვარზე დაკიდული ანდრია განუწყვეტლივ ლოცულობდა. ის ქრისტესშობიდან 62 წელს მოწამეობრივად აღესრულა.

კეთილმსახურისა თამარისა, დიდისა მეფისა ყოვლისა საქართველოისა

14 მაისს, საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია თამარობას დღესასწაულობს.

ტროპარი

წმიდათა შორის საკვირველო, იბერიის მნათობო, კეთილ მორწმუნეო მეფეო თამარ, რომელმან მაღალთა კლდეთა ზედა აღაშენენ საყდარნი საველდრებელად ღმრთისა, ლოცვითა შენითა განაძლიერენ მხედრობანი ქრისტეს მოყვარისა ქართველთა ერისანი, ხოლო მარჯვენითა შენითა დაამხუენ სპანი აგარიანთანი; ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის.

ამ რამდენიმე წლის წინათ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილია II პარიზში საქართველოს ეკლესიას უხელმძღვანელა და იქ, თამარ მეფის ხსენების დღეს, ქართული ეკლესია საზეიმოდ გახსნა, რომელიც ამიერიდან საქართველოს იურისდიქციაში შედის, ხოლო ამ შვიდიოდე წლის წინ ათონელი მამების მიერ დაწესებული თამარ მეფის ხატი ყოვლადწმიდა სამების ტაძარს შესწირეს, რომელმაც მაშინ მთელი საქართველო მოიარა!

P.S. თამარ მეფის მოსახელე ყველა თამარს და სრულიად საქართველოს შეეწიოს მისი მადლი!

გიული ლიპარტია

მრავალჟამიერ

სავარდო და სამაისო ქუთაისის მოჭირნახულე

პროფესორი ომარ მინდაძე 70 წლისაა

იცნობენ და პატივს მიაგებენ არა მარტო კოლეგები, აღზრდილები და სამეზობლო, არამედ ყველა, ვისაც ომარ მინდაძესთან თუნდაც ერთხელ ჰქონია ურთიერთობა როგორც ძალოვანი სტრუქტურების სხვადასხვა რგოლის ხელმძღვანელთან, მეცნიერთან, უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგთან. დაიბადა და ყრმობის წლები გაატარა ცაგერის რაიონის სოფელ წილამიერში, ჭეშმარიტად ღირსეულ ოჯახში. დიდი სამამულო ომის დროს ორივე მშობელი ფრონტის წინა ხაზზე იყო, დაბრუნების შემდეგ მამა ნიკოლოზი თავისივე სოფლის კოლმეურნეობას თავკაცობდა, დედა თამარ დარსაძე საქართველოს განათლების სამინისტროს დამსახურებული მუშაკი და ცაგერის რაიონის საპატიო მოქალაქე გახდა.

ორბელის საშუალო სკოლის დამთავრების შემდგომ ბატონმა ომარმა პოლონეთში მოიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახური, დაბრუნებულმა კი დაამთავრა ჯერ შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის სკოლა , მერე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და ასპირანტურა, დაიცვა საკანდიდატო და საადოქტორო დისერტაციები.

სხვადასხვა დროს მსახურობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიცრად, მათ შორის ქუთაისის ციხის უფროსად. მინიჭებული აქვს პოლიციის პოლკოვნიკის სამხედრო და პოლიციის წარჩინებულის წოდებები. ეწეოდა და ეწევა აქტიურ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიის სისხლის სამართლისა და სისხლის საამართლის პროცესის კათედრის გამგედ, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქუთაისის ფილიალის ლექტორად. პირველ პროფესორად აირჩიეს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის იურიდიული დისციპლინების კათედრაზე, სადაც მოღვაწეობას დღემდე განაგრძობს. არის 62 სამეცნიერო პუბლიკაციის, 3 მონოგრაფიისა და 5 სახელმძღვანელოს ავტორი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით და არის ჭეშმარიტად ღირსეული ოჯახის მამა. მან და მისმა მეუღლემ, ქუთაისში კარგად ცნობილმა პედაგოგმა, ქალბატონმა გულნარა ჯოხაძემ სამშობლოს 3 შვილი და 8 შვილიშვილი შემატეს.

დადის ქალაქში ჭარმაგი, უკვე 70 წლის , მაგრამ ენერგიით აღსავსე ჩვენი მეგობარი და მის კოლეგებს, მეზობლებსა და ახლობლებს გვეამაყება მისი გამართული ნაბიჯები.

კვლავ მრავალი წელიწადი შემატებოდეს საიუბილეო სამოცდაათს.

მრავალჟამიერ, ბატონო ომარ!

კოლეგები და მეზობლები

მაშველებმა მიკროავტობუსის მგზავრები გადაარჩინეს

შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მაშველებმა მდინარეში ჩარჩენილ მოქალაქეებს, რომლებიც ხულოდან ადიგენის მიმართულებით მიკროავტობუსით გადაადგილდებოდნენ, დახმარება აღმოუჩინეს.

შსს-ს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ში შევიდა შეტყობინება.

შეტყობინების თანახმად, გოდერძის უღელტეხილზე, მდინარე ლოდის ძირში, ძლიერი წვიმისა და წყალმოვარდნის გამო, მიკროავტობუსი ქვიშაში ჩაეფლო. აღნიშნულ ტრანსპორტში მყოფ 6 მგზავრს, მათ შორის, მცირეწლოვან ბავშვებსა და ქალებს დახმარება სჭირდებოდათ, რადგან მიკროავტობუსის მძღოლი მდინარიდან გადასვლას და მგზავრების ნაპირზე გამოყვანას ვეღარ ახერხებდა.

შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ადიგენისა და ხულოს სახანძრო-სამაშველო განყოფილების მეხანძრე-მაშველებმა მგზავრების ევაკუაცია განახორციელეს, მიკროავტობუსი კი ადიდებული მდინარიდან სააგენტოს მძიმე ტექნიკით გამოიყვანეს.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4362; ევრო - 2.6481;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1544;
100 რუბლი - 4.1925; თურქული ლირა - 0.6757;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4415;
1000 სომხური დრამი - 5.0335.

ამინდი 12 მაისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+8	დღე	+22
მთიანი რაიონები -	ღამე	+5,	დღე	+22
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+9,	დღე	+24
მთიანი რაიონები -	ღამე	+7,	დღე	+21
თბილისი:	ღამე	+12,	დღე	+20

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge